პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

2 მარტი სამშაბათი 1971

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 52 (14962)

საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობა რესპუბლიკის ყველა კომუნისტის სახელით სკკპ ცენტრალურ კომიტეტს აღუთქვამს, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, რომელიც განუხრელად ხელმძღვანელობს ლენინის მითითებებით, როგორც ყოველთვის, განამტკიცებს ჩვენი პარტიის ერთიანობას, ძალ-ღონესა და ცოდნას არ დაიშურებს კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში, ღირსეულ წვლილს შეიტანს იმ ამოცანათა გადაწყვეტაში, რომლებსაც სკკპ XXIV ყრილობა დაუსახავს პარტიას, საბჭოთა ხალხს.

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის წერილიდან).

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობა რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით მხურვალედ მიესალმება სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს — ჩვენი პარტიის მებრძოლ შტაბს, კომუნიზმისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხის ნაცად შთამაგონებელსა და ორგანიზატორს.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია თავის ყრილობას შეეგება მონოლითური, მჭიდროდ შეკავშირებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო. მისი ხელმძღვანელობით რესპუბლიკის მშრომელები აღწევენ ახალ-ახალ წარმატებებს კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა გადაწყვეტაში, აქტიურად ემზადებიან ახალი შრომითი მიღწევებით შეხვდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავს.

ყრილობა დიდი კმაყოფილების გრძნობით მოახსენებს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომ საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა, ახორციელებენ რა პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს, დიდი წარმატებანი მოიპოვეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში.

განაგრძობენ რა ლენინურ შრომითს ვახტს, მათ ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXIV ყრილობისა და რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების, საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ბრძნული ხელმძღვანელობით საქართველოს მშრომელებმა ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების მხარდამხარ საბჭოთა ხელისუფლების 50 წლის მანძილზე მიაღწიეს ისეთ წარმატებებს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, რომლებზეც არ შეეძლოთ ეოცნებათ მთელი თავიანთი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე.

საბჭოთა ხელისუფლების წლების განმავლობაში საქართველო გადაიქცა დიდად განვითარებული ინდუსტრიის რესპუბლიკად, სადაც შექმნილია მრეწველობის ისეთი თანამედროვე დარგები, როგორიცაა ელექტროტექნიკური, ხელსაწყოთმშენებლობის, ქიმიური, საავტომობილო, მეტალურგიული, ჩარხმშენებლობის, მანქანათმშენებლობისა და სხვა დარგები. ახლა საქართველოს მრეწველობა ერთ კვირაში უშვებს მეტ პროდუქციას, ვიდრე აწარმოებდა მთელი წლის მანძილზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

საბჭოთა საქართველო მრავალდარგოვანი მექანიზებული სოფლის მეურნეობის რესპუბლიკაა. დიდ ფართობებზეა გაშენებული ჩაისა და სუბტროპიკული პლანტაციები, ვენახები, ხეხილის ბაღები, ყანები და მინდვრები, სადაც მუშაობს თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რომელიც ამსუბუქებს გლეხთა შრომას, ზრდის მოსავალს.

ახალ საფეხურზე ავიდა მეცნიერება და კულტურა. რესპუბლიკის მეცნიერთა დიდი კვალიფიციური რაზმი ნაყოფიერად მონაწილეობს იმ დიდმნიშვნელოვან პრობლემათა გადაჭრაში, რომლებსაც უდიდესი სახალხო-სამეურნეო და მეცნიერული მნიშვნელობა აქვთ.

დიდი წარმატებანია მოპოვებული ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური ქართული კულტურის განვითარებაში. რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები თავიანთ ნიჭს, თავიანთ შთაგონებულ შრომას ახმარენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვების დიად საქმეს.

ყველა ეს წარმატება მოპოვებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი განხორციელებისა და ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმური მეგობრობის განუწყვეტელი განმტკიცების მეოხებით. საქართველოს პარტიული ორგანიზაცია კვლავაც აღზრდის მშრომელებს ხალხთა მეგობრობისა და ძმობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, თავისი სოციალისტური სამშობლოს უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობას წინ უძღოდა საანგარიშო-საარჩევნო კრებები პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, რაიონული, საქალაქო და საოლქო პარტიული კონფერენციები. მათ ცხადყვეს, რომ პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობა უფრო ქმედითი, კონკრეტული, მიზანდასახული გახდა, იგი შეესაბამება დღევანდელი დღის ამოცანებს. ამაღლდა პარტიულ ორგანიზაციათა ბრძოლისუნარიანობა, კომუნისტთა პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, განმტკიცდა პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა, კიდევ უფრო განვითარდა შინაპარტიული დემოკრატია, გაძლიერდა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა მასებში.

ჩვენი წარმატებანი ცხადია, მაგრამ თვალს ვერ ავარიდებთ ნაკლოვანებებსაც, გადაუჭრელ ამოცანებს. რესპუბლიკის კომუნისტებმა საანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და პარტიულ კონფერენციებზე, საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობაზე დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრისა და 1970 წლის ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებების, ახალი ხუთწლედის დავალებების წარმატებით განხორციელებას, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობის უზრუნველყოფას, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას.

1971 წელი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში შევა როგორც სკკპ XXIV ყრილობის წელი, რომელიც მოასწავებს კომუნისტური მშენებლობის, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების გამარჯვებისათვის ბრძოლის ახალ ეტაპს.

საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობა რესპუბლიკის ყველა კომუნისტის სახელით სკკპ ცენტრალურ კომიტეტს აღუთქვამს, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, რომელიც განუხრელად ხელმძღვანელობს ლენინის მითითებებით, როგორც ყოველთვის, განამტკიცებს ჩვენი პარტიის ერთიანობას, ძალ-ღონესა და ცოდნას არ დაიშურებს კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში, ღირსეულ წვლილს შეიტანს იმ ამოცანათა გადაწყვეტაში, რომლებსაც სკკპ XXIV ყრილობა დაუსახავს პარტიას, საბჭოთა ხალხს.

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს კომუნისტთა ლენინურ პარტიას — თანამოაზრეთა მებრძოლ კავშირს, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

*საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობა.*

□ □

# მუშაობა დაამთავრა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ

1 მარტს დილის 10 საათზე გაიხსნა საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის დილის სხდომა. თავმჯდომარეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. შ. ცხაკაია.

ყრილობამ მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი „სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ"".

იწყება მოხსენების განხილვა. სიტყვა ეძლევა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. შ. მ. ბუხრაშვილს. შემდეგ გამოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გ. შ. მიქელაძე, საქართველოს კომპარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ჯ. ვ. გოცირიძე.

შესვენების შემდეგ საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობას თავმჯდომარეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე.

გრძელდებოდა მოხსენების განხილვა. განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. ი. გ. რთველიაშვილი, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის № 1 საამწყობო საამქროს გამწყობი, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ო. გ. ხაზარაძე, ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის სამმართველოს უფროსი, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ნ. შ. ესაკია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ამხ. რ. რ. დვალი, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი ამხ. გ. ს. ქობულია.

ამით დამთავრდა ამხ. გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენების განხილვა.

საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობამ ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია განხილული მოხსენების გამო.

საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობას მისასალმებელი დეპეშები გამოუგზავნეს ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, პარტიის დაღესტნის საოლქო კომიტეტმა, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლის მსმენელებმა.

ყრილობა გადადის დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს კომუნისტური პარტიის სარევიზიო კომისიისა და სკკპ XXIV ყრილობის დელეგატების არჩევნებზე.

ასახელებენ კანდიდატურებს ფარული კენჭისყრისათვის.

საღამოს სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარის — საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ზ. ა. ჩხეიძის ინფორმაცია ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ. მან განაცხადა, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში დასახელებული ყველა კანდიდატი, აგრეთვე სკკპ XXIV ყრილობის დელეგატები არჩეული არიან.

შეიქმნა წინადადება საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის სახელით მისასალმებელი წერილი გაუგზავნონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

მისასალმებელი წერილი, რომელსაც დელეგატები მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ, წაიკითხა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოთა მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ, საბჭოთა კავშირის გმირმა ამხ. ო. ნ. ციციშვილმა.

საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის დახურვისას სიტყვა წარმოსთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.

საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის დღის წესრიგი ამოიწურა. ყრილობა დახურულად ცხადდება.

დელეგატები მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს". დარბაზში გაისმის შეძახილები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის პატივსაცემად, კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის პატივსაცემად, საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობის პატივსაცემად. (საქინფორმი).



# საინფორმაციო ცნობა

## საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. **ვ. პ. მჟავანაძე.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად არჩეულია ამხ. **ა. ნ. ჩურკინი.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებად არჩეული არიან ამხანაგები **შ. ი. ჭანუყვაძე, მ. ა. გოგიჩაიშვილი, ნ. შ. ცხაკაია.**

პლენუმმა აირჩია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები **მ. ა. გოგიჩაიშვილი, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, ს. კ. კურკოტკინი, ო. ი. ლოლაშვილი, ვ. პ. მჟავანაძე, ა. ნ. ჩურკინი, ნ. შ. ცხაკაია, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატებად არჩეული არიან ამხანაგები **რ. ვ. მეტრეველი, თ. ი. მოსაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი.**

პლენუმმა დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები:

**რ. ვ. მეტრეველი** — ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგედ.

**დ. ვ. გოგოხია** — პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ.

**ო. ე. ჩერქეზია** — მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგედ.

**დ. ი. ჩხიკვიშვილი** — კულტურის განყოფილების გამგედ.

**ე. გ. ლუდუშაური** — მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგედ.

**ი. ი. ქედიშვილი** — მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგედ.

**ო. გ. აბესაძე** — მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგედ.

**ფ. ს. დულაშვილი** — სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ.

**ფ. ა. ანანიაშვილი** — ვაჭრობის, საგეგმო და საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგედ.

**ა. გ. კარანაძე** — ადმინისტრაციულ ორგანოთა განყოფილების გამგედ.

**ა. ა. მანელაშვილი** — საერთო განყოფილების გამგედ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცებულია ამხ. **დ. ვ. გელაშვილი.**

გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორად დამტკიცებულია ამხ. **დ. ვ. მჭედლიშვილი**, გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქტორად — ამხ. **შ. ვ. ყარყარაშვილი**, გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის" რედაქტორად — ამხ. **ა. ა. ბლრციანი**, გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის" რედაქტორად — ამხ. **ყ. ჯ. ყულიევი**, ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის" რედაქტორად — ამხ. **შ. ე. გაგოშიძე.**

* * *

გაიმართა საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის პირველი სხდომა. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. **ბ. ს. ფირცხალავა.** (საქინფორმი).

# საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა

## ცენტრალური კომიტეტის წევრები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აბაშიძე ბ. გ. | გრძელიშვილი შ. ო. | კვაჭაძე ზ. ა. | პეტროსიანი ს. ვ. | ჩადუნელი ბ. შ. |
| აბესაძე ო. გ. | დავითაძე ლ. მ. | კიკნაძე შ. დ. | რთველიაშვილი ი. გ. | ჩახუნაშვილი ა. გ. |
| აბესაძე პ. ს. | დულაშვილი ფ. ს. | კინწურაშვილი ა. კ. | როგიტაშვილი გ. ვ. | ჩერქეზია ო. ე. |
| ანანიაშვილი ფ. ა. | დუმბაძე ფ. დ. | კობახია ვ. ო. | როდომანჩენკო ნ. ი. | ჩიხლაძე მ. თ. |
| ართმელაძე ი. დ. | დურგარიანი ვ. ა. | კოხრეიძე ნ. ლ. | საბაშვილი დ. ხ. | ჩურკინი ა. ნ. |
| აჯზბა რ. გ. | ესაკია ნ. მ. | კურკოტკინი ს. კ. | საბაშვილი ო. გ. | ჩხეიძე ზ. ა. |
| ბასილაშვილი შ. ი. | ვადაჭკორია ვ. ი. | კუჭავა მ. ი. | სენკოვი ლ. ი. | ჩხიკვიშვილი დ. ი. |
| ბატიაშვილი ა. გ. | ვაშაძე გ. გ. | ლაბახუა ა. მ. | სირაძე ვ. მ. | ცხაკაია ნ. შ. |
| ბექაური ა. ს. | ვაშაკიძე გ. ს. | ლაშქარაშვილი თ. ვ. | სიხარულიძე გ. ვ. | ძოწენიძე გ. ს. |
| ბზიშვილი რ. ა. | ვეკუა ი. ნ. | ლელაშვილი მ. მ. | სტურუა ვ. ვ. | წითლიძე გ. ა. |
| ბიბილაშვილი მ. ა. | ვერდიევა ს. მ. | ლოლაშვილი ო. ი. | სტურუა დ. გ. | ჭანუყვაძე შ. ი. |
| ბოჭორიძე ო. ს. | ვერულაშვილი შ. ა. | მაღალაშვილი დ. დ. | უთიაშვილი ვ. ა. | ჭითანავა ა. ე. |
| ბუხრაშვილი შ. ე. | ვიბლიანი ლ. მ. | მანელაშვილი ა. ა. | ფანცულაია ა. ს. | ჭირაქაძე ა. ვ. |
| გელაშვილი დ. ვ. | ზაუტაშვილი გ. ი. | მარტიროსიანი ა. გ. | ქადაგიძე გ. ი. | ხაზარაძე ი. გ. |
| გელაშვილი დ. ლ. | თაქთაქიშვილი ო. ვ. | მელაშვილი ი. დ. | ქედიშვილი ი. ი. | ხოხლოვი ი. მ. |
| გელდიაშვილი ზ. გ. | თოიძე ა. ნ. | მეტრეველი ვ. ი. | ქობულია გ. ს. | ხუგაევი ა. კ. |
| გერგიშვილი ვ. გ. | თოხაძე ვ. ზ. | მეტრეველი რ. ვ. | ქრისტესიაშვილი კ. ი. | ხუნდაძე გ. რ. |
| გიგიბერია გ. გ. | თხილაიშვილი ა. დ. | მიქელაძე გ. შ. | ღვინჯილია მ. გ. | ხუროძე ა. ვ. |
| გილაშვილი პ. გ. | ილურიძე კ. მ. | მოსაშვილი თ. ი. | ლუდუშაური ე. გ. | ჯავახიშვილი გ. დ. |
| გოგიტიძე ძ. ა. | ინაური ა. ნ. | მჟავანაძე ვ. პ. | ყარყარაშვილი შ. ვ. | ჯავახიძე ნ. ს. |
| გოგიჩაიშვილი მ. ა. | კავთიაშვილი გ. ძ. | მუსხელიშვილი ნ. ი. | შადური ა. ი. | ჯაფარიძე ე. მ. |
| გოგოხია დ. ვ. | კავილაძე ი. ი. | მუჭკუდიანი ა. ფ. | შევარდნაძე ე. ა. | ჯიოევი კ. კ. |
| გონაშვილი ა. ი. | კაკალაშვილი ვ. ი. | მჭედლიშვილი დ. ვ. | შევარდნაძე ი. ა. | ჯულაყიძე ნ. გ. |
| გოცირიძე ჯ. ვ. | კარანაძე ა. გ. | ოგოლაძე გ. ი. | შელეპინი ა. გ. | ჯუსოევი გ. ნ. |
| გოშხოთელიანი ლ. ვ. | კვარაცხელია ვ. ს. | პატიაშვილი ჯ. ი. | | |

## ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აბაშიძე ი. გ. | გუმროიანი ს. მ. | ლაკია ნ. ა. | საქსაგანსკი ვ. ა. | ციციშვილი ი. ნ. |
| ანდრუშჩენკო ვ. კ. | დავითაშვილი თ. ნ. | მგელიაშვილი ნ. მ. | სამიტაშვილი ე. ვ. | ცქვიტინიძე უ. ფ. |
| ბაბუნაშვილი პ. ა. | დავითაშვილი მ. დ. | მეგრელიშვილი მ. ა. | სახელაშვილი ზ. კ. | წიკლაური ა. დ. |
| ბარძიმოვი გ. ნ. | დვალი რ. რ. | მელქაძე გ. კ. | სულაძე ო. ნ. | ჭიაურელი ვ. ი. |
| ბლრციანი ა. ა. | დიასამიძე დ. დ. | მოთიაშვილი გ. მ. | ტაკიძე ა. ე. | ჭითანავა ნ. ა. |
| ბოჭორიშვილი ვ. გ. | დოლიძე შ. ა. | მურუსიძე ვ. ი. | ტატურაშვილი მ. პ. | ჭილლაძე შ. თ. |
| ბუაჩიძე ი. მ. | ვოუბა ა. ჭ. | ნაგლი ი. ი. | ფირანიშვილი ვ. ა. | ხარაძე ე. კ. |
| ბუაძე ა. ი. | თავაძე თ. მ. | ნეფედოვი ნ. ნ. | ყიფიანი გ. დ. | ხარებავა ვ. ი. |
| გაგოშიძე შ. ე. | თინიკაშვილი მ. ნ. | ნოზაძე დ. ა. | ყულიევი ყ. ჯ. | ხელაშვილი თ. ი. |
| გაფრინდაშვილი ლ. ნ. | ისაკაძე ლ. მ. | ოდიშვილი ვ. ი. | შინკუბა ბ. ვ. | ხოლუაშვილი ზ. ს. |
| გელბახიანი პ. გ. | კერესელიძე შ. ი. | პახალჩუკი თ. ე. | ჩოფიკაშვილი ვ. ა. | ჯაფარიძე უ. მ. |
| გოცირიძე გ. ს. | კოხოძე შ. ა. | რაზმაძე მ. ვ. | ჩხაიძე ლ. ტ. | ჯიბლაძე გ. ნ. |
| | კუხიანიძე გ. ე. | | ჩხოლარია ნ. გ. | ჯიჯელავა დ. კ. |

# საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის შემადგენლობა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აფციაური ე. გ. | დელავერი ე. ა. | კელენჯერიძე ა. ჭ. | ოქრომჭედლიშვილი ზ. ა. | ყიფიანი ი. დ. |
| ბედინეიშვილი გ. ვ. | დრიაევი ა. ა. | კიკნაძე დ. ა. | პაატაშვილი ვ. ა. | შანშაშვილი ე. დ. |
| ბოგდანოვა ჯ. ნ. | დუკმასოვი ე. ა. | კოდუა მ. გ. | რიჟოვა ვ. კ. | შარაშიძე დ. გ. |
| ბუკია კ. პ. | ელიგულაშვილი რ. ს. | მაისურაძე ვ. ი. | სალარიძე შ. ა. | ჩაგუნავა ნ. ს. |
| გაგუა ო. ს. | ელოშვილი ი. ნ. | მანთაშაშვილი ზ. გ. | სარიშვილი ი. ფ. | ჩიკვაიძე დ. ნ. |
| გარდაფხაძე კ. კ. | იაშვილი მ. ვ. | მახარობლიძე შ. ა. | სიხარულიძე ნ. შ. | წურწუმია ა. ს. |
| გვიშიანი მ. ჭ. | ირემაძე გ. ა. | მგალობლიშვილი ი. დ. | ფირცხალავა ბ. ს. | ჭილაია ს. ე. |
| გვიჩიანი მ. შ. | კვანტრიშვილი პ. ვ. | მექვაბიშვილი ა. ზ. | ფოცხვერაშვილი ი. თ. | ჯანიბეგაშვილი ჟ. გ. |
| გერგედავა ზ. ე. | კვარაცხელია ჯ. ა. | ნანიტაშვილი გ. ლ. | ქაჯაია ს. ი. | ჯანჯღავა ვ. ნ. |
| გოგლიძე ა. ა. | კვინტრაძე რ. ე. | ნახუცრიშვილი ძ. ლ. | ქირია ა. ი. | ჯოგლიძე შ. პ. |
| გუგავა ლ. ვ. | | | | |

# საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის მიერ არჩეული სკკპ XXIV ყრილობის დელეგატები

*გადამწყვეტი ხმის უფლებით*

აბაშიძე გ. გ.
ალგოროვი გ. ა.
ანჯაფარიძე ზ. ი.
არძინბა მ. კ.
ალასაროვი ა. ი.
ბახტურიძე ვ. ა.
ბედუკაძე ე. ი.
ბექაური შ. ე.
ბზიშვილი რ. ა.
ბოჭორიძე ო. ს.
ბუხრაშვილი შ. ე.
გაბადაძე ნ. ა.
გვენცაძე ნ. ნ.
გერასიმოვი ს. ა.
გერგაია ჟ. ა.
გილაშვილი პ. გ.
გიორგაძე მ. პ.
გოგიჩაშვილი რ. ს.
გოშხოთელიანი ლ. ვ.
გრებენიკოვა ნ. ი.
დავითაძე ლ. მ.

დვალიშვილი ო. გ.
დოლიძე ვ. ა.
დოლიძე მ. მ.
დუმბაძე ფ. დ.
ელიავა თ. ძ.
ესაკია ნ. მ.
ვაშაკიძე გ. ი.
ზაკენცოვსკი ვ. მ.
ზაუტაშვილი გ. ი.
თოიძე ა. ნ.
თოფურია ლ. ნ.
თხილაიშვილი ა. დ.
ინაური ა. ნ.
კაჭარავა ა. ა.
კვირიკაშვილი ც. ი.
კედელაშვილი ო. ს.
კიკნაძე შ. დ.
კლიმოვი ა. გ.
კობახია ვ. ო.
კოვანოვი პ. ვ.
კუპრაძე ვ. დ.

კურკოტკინი ს. კ.
ლაკია ნ. ა.
ლაფერაძე ა. პ.
ლიპარტელიანი ა. პ.
ლოლაშვილი ო. ი.
მამაიაშვილი ნ. პ.
მამათელაშვილი ვ. გ.
მაღალაშვილი დ. დ.
მდივანი კ. ნ.
მეტრეველი ვ. ს.
მეტრეველი რ. ვ.
მოსაშვილი თ. ი.
მჟავანაძე ვ. პ.
მუსხელიშვილი ნ. ი.
მჭედლიშვილი დ. ვ.
ნოზაძე დ. ა.
ოგოლაძე გ. ი.
ორაგველიძე მ. ფ.
ოსაძე კ. თ.
პავლოვსკი ი. გ.
პატიაშვილი ჯ. ი.
პეტროსიანი ს. პ.
პოუნაგოვა ე. ვ.

როდიონოვი პ. ა.
რუხაძე ლ. ვ.
საბაშვილი ო. გ.
სავინკინი ნ. ი.
სამადალაშვილი ი. ზ.
სარალიძე ზ. გ.
საური თ. ვ.
სენკოვი ლ. ი.
სიხარულიძე ნ. შ.
სოლომონია ე. გ.
სტურუა ვ. ვ.
სულაძე ო. ნ.
ფანცხავა რ. დ.
ფირანიშვილი ვ. ა.
ფსურცევი ნ. დ.
ქავთარაძე მ. კ.
ქადაგიძე გ. ი.
ქემაშვილი ვ. გ.
ყიფიანი გ. დ.

შავლაძე ლ. გ.
შელეპინი ა. გ.
ჩხეიძე ზ. ა.
ციბა ა. ა.
ძოწენიძე გ. ს.
ჭანიძე გ. ი.
ჭელიძე ვ. ი.
ჭირაქოვა ზ. ა.
ჭითანავა ა. ე.
ჭუნიაშვილი გ. ი.
ხარებავა ვ. ი.
ხვედელიანი ი. რ.
ხეცურიანი დ. შ.
ხოლუაშვილი ზ. ს.
ხურციძე ა. ს.
ჯავახიშვილი გ. დ.
ჯანჯღავა ძ. მ.
ჯიოევი ვ. კ.
ჯუსოევი გ. ნ.

*სათათბირო ხმის უფლებით*

გაწერელია ა. გ.
ზღუნოვი ვ. თ.
მაგრაქველიძე ც. ლ.
მარტინენკო ლ. ვ.

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი „სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ“

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენება

ამხანაგებო!

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში. ყრილობის დელეგატებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს და განიხილეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ვრცელი და შინაარსიანი საანგარიშო მოხსენება, რომელიც აქ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ვასილ მჟავანაძემ გააკეთა. მოხსენებაში ასახულია ის დიდი მუშაობა, რაც რესპუბლიკის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გასწიეს პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის, მკაფიოდ ნაჩვენებია სახალხო მეურნეობის ყველა დარგში — მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ხალხის კულტურულ-მატერიალური დონის ზრდაში მიღწეული მაღალი შედეგები. ამავე დროს გამოვლინებულია ჩვენს მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი, რაც ერთგვარად ხელს უშლიდა ჩვენს განვითარებას, აფერხებდა ხუთწლიანი გეგმის ზოგიერთ დავალებათა შესრულებას, ანელებდა ზრდის ტემპს: დასახულია აგრეთვე, მეცხრე ხუთწლედის ახალ გაზრდილ დავალებათა წარმატებით შესრულების მიზნით, ამ ნაკლოვანებათა დაძლევის ფართო ღონისძიებანი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის განსახილველად შემოტანილია პროექტი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დირექტივებისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ამ დოკუმენტს, რომელიც შემუშავებულია ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ და მარქსისტულ-ლენინური შემოქმედების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს, უდიდესი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. იგი სსრ კავშირის ეკონომიკის განვითარების უახლოესი ხუთი წლის პროგრამაა, რომელსაც ჩვენი პარტია უსახავს საბჭოთა ხალხს. ამ პროგრამით განსაზღვრული ამოცანები გრანდიოზული, მაგრამ სავსებით რეალურია. პროექტში ჩანს ნამდვილი მეცნიერული მიდგომა დიდი სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტისადმი, ყოველმხრივ გათვალისწინებულია ობიექტური ეკონომიური კანონების მოქმედება და ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარების მიღწეული დონე. დირექტივების პროექტი მოასწავებს ახალ [illegible]

საშუალო წლიური ტემპები უფრო მაღალი იყო, ვიდრე 1961-1965 წლებში. მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა გასული ხუთი წლის მანძილზე 1,5-ჯერ გაიზარდა. უპირატესად ვითარდებოდა სახალხო მეურნეობის ის დარგები, რომელნიც ტექნიკურ პროგრესს და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას განაპირობებენ. შესაბამისად გაფართოვდა მოხმარების საქონლის მწარმოებელი დარგებიც.

განხორციელდა დიდი ღონისძიებანი სოფლის მეურ- [illegible]

...ბისა და გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ბევრი საწარმო ვერ ასრულებს პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმებს, მათს მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს დიდ დანაკარგებს და უნაყოფო დანახარჯებს.

ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ნელი ტემპებით იზრდებოდა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და პირუტყვის პროდუქტიულობა, არადამაკმაყოფილებლად იყენებდნენ ტექნიკასა და სასუქებს. მეურნეობათა საგრძნობი ნაწილი დაბალრენტაბელურად მუშაობდა.

ფართო მოხმარების საქონლის წარმოების საკმაოდ მაღალი ტემპებით ზრდის მიუხედავად, სამინისტროები და უწყებები ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ სწავლობენ სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებას მათი დარგის პროდუქციაზე. ბევრი მათგანის გამოშვება ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას. სავაჭრო ორგანიზაციები ვერ უზრუნველყოფენ ვაჭრობის სათანადო დონეს.

ამხანაგებო! ვაჯამებთ რა ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგებს, სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ საბჭოთა ხალხმა ახალი გამარჯვებები მოიპოვა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში. დიდი წარმატებებია მიღწეული სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში, სოციალური ამოცანების გადაწყვეტაში, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებაში. განმტკიცდა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, კიდევ უფრო განვითარდა სოციალისტური დემოკრატია. გაიზარდა ჩვენი სამშობლოს საერთაშორისო ავტორიტეტი. განმტკიცდა საბჭოთა კავშირის თავდაცვითი ძლიერება.

ყველა ჩვენი წარმატება გმირი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მშრომელთა თავდადებული შრომის შედეგია. ამ წარმატებათა მიღწევაში ახალი ძალით გამოვლინდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი, მისი თანმიმდევრული ლენინური პოლიტიკა.

* * *

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დირექტივების პროექტში განსაზღვრულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების ძირითადი ამოცანები.

დირექტივების პროექტში ხაზგასმულია, რომ მეცხრე ხუთწლიანი გეგმის მთავარი ამოცანაა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება სოციალისტური წარმოების განვითარების მაღალი ტემპების, მისი ეფექტიანობის გადიდების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველზე.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერმა განვითარებამ, წინა ხუთწლედების მანძილზე შექმნილმა სრულყოფილი ტექნიკით შეიარაღებულმა მძიმე მრეწველობამ, ეროვნული შემოსავლის ზრდამ შესაძლებელი გახადა მთელი სიგრძე-სიგანით დასმულიყო საკითხი მოხმარების საგნების წარმოების უპირატესი განვითარების შესახებ. ხალხის ცხოვრების მატერიალური დონის ამაღლების პრობლემების წინწამოწევა უდავოდ ერთ-ერთი ძირითადი და ახალი დამახასიათებელი ნიშანია დირექტივების პროექტისა.

ძირითადი ამოცანის საფუძველზე დასახულია ქვეყნის სახალხო მეურნეობის დარგების განვითარების, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების, საგარეო ეკონომიური კავშირურთიერთობის, მართვისა და დაგეგმვის სრულყოფის შემდეგი მიმართულებები და დავალებები.

მრეწველობის ყველა დარგის განვითარება ითვალისწინებს საბჭოთა ხალხის სასიცოცხლო მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულ დაკმაყოფილებას, რისთვისაც უფრო სწრაფად განვითარდება სახალხო მოხმარების საქონლის, ნედლეულის და მათი გამოშვებისათვის საჭირო საშუალებათა წარმოება, გადიდდება მისი ხვედრითი წონა, მნიშვნელოვნად გაფართოვდება სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება მძიმე მრეწველობის დარგებში.

ახალ ხუთწლედში მრეწველობის ძირითადი ამოცანაა სოციალისტური ეკონომიკის, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგების განვითარების ინდუსტრიული ბაზის გაფართოება და სრულყოფა, წარმოების ტექნიკური დონისა და ეფექტიანობის ამაღლება, პროდუქციის ხარისხის ძირეული გაუმჯობესება.

დირექტივების პროექტით დასახულია მრეწველობის საერთო პროდუქციის გადიდება 42-46 პროცენტით, მათ შორის წარმოების საშუალებათა წარმოებისა — 41-45 პროცენტით, ხოლო მოხმარების საგნებისა — 44-48 პროცენტით.

წარმოების ზრდა მიღწეული იქნება უწინარეს ყოვლისა მისი ეფექტიანობის ამაღლებით და შიდასამეურნეო რეზერვების უფრო სრულად გამოყენებით. ამ მიზნით შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 36-40 პროცენტით გაიზრდება და ამ გზით მიღწეული იქნება პროდუქციის საერთო მატების 87-90 პროცენტი.

გვაოცებს ის მწვერვალები, რომლებსაც მიაღწევს მრეწველობის სხვადასხვა დარგები.

სახალხო მეურნეობის ამაღლების უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებულია ენერგეტიკის უპირატესი ტემპებით განვითარება.

ელექტროენერგიის წარმოება გაიზრდება 1030-1070 მილიარდ კილოვატ-საათამდე. ამოქმედდება 65-67 მილიონი კილოვატი სიმძლავრის ახალი ელექტროსადგურები და აგრეგატები, უმთავრესად თბოელექტროსადგურების მშენებლობისა და იქ დიდი ენერგეტიკული ბლოკების დადგმის გზით. ჰიდროენერგეტიკაში განხორციელდება უპირატესად ჰიდროკვანძების აგება, რომელნიც შესაძლებელს გახდიან ელექტროენერგიის წარმოების, მიწების ირიგაციის, სახალხო მეურნეობის წყლით უზრუნველყოფისა და ნაოსნობის განვითარების ამოცანების კომპლექსურ გადაჭრას. გათვალისწინებულია ატომური ენერგეტიკის განვითარება დიდი ელექტროსადგურების მშენებლობის გზით.

ახალ ხუთწლედში მნიშვნელოვნად დაჩქარდება სათბობის მრეწველობის განვითარება, კიდევ უფრო გაუმჯობესდება სათბობი ბალანსის სტრუქტურა.

სათბობის საერთო ბალანსში ნავთობისა და გაზის ხვედრითი წონა სულ მცირე 67 პროცენტამდე გაიზრდება, მათ შორის ნავთობის მოპოვება 480-500 მილიონ ტონამდე, გაზისა კი 300-320 მილიარდ კუბურ მეტრამდე. გაიზრდება ნავთობის თანმხლები გაზის გამოყენება.

ფართო მასშტაბით გაგრძელდება ჩვენი ქვეყნის გაზმომარაგების ერთიანი სისტემის შექმნის სამუშაოები. აშენდება და საექსპლოატაციოდ გადაეცემა სულ მცირე 30 ათასი კილომეტრი სიგრძის მაგისტრალური გაზსადენები.

შავ მეტალურგიაში 1975 წელს გათვალისწინებულია ფოლადის გამოდნობის გადიდება 142-150 მილიონ ტონამდე, ხოლო მზა ნაგლინის წარმოებისა — 101-105 მილიონ ტონამდე.

გათვალისწინებულია ქიმიური მრეწველობის განვითარების მაღალი ტემპები. ყველაზე სწრაფად განვითარდება მინერალური სასუქების, ქიმიური ბოჭკოების, საყოფაცხოვრებო ქიმიის საქონლისა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ნაწარმის წარმოება. 1975 წელს მინერალური სასუქების წარმოება გაიზრდება 90 მილიონ ტონამდე.

უპირატესი ტემპებით განვითარდება მანქანათმშენებლობა, რომელიც წამყვან როლს შეასრულებს მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკურ აღჭურვაში. მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში ხუთწლიულის მანძილზე პროდუქციის გამოშვება დაახლოებით 1,7-ჯერ გაიზრდება, აქედან სახალხო მოხმარების საქონლისა — 2,2-ჯერ.

საშენ მასალათა პროდუქციის წარმოება გადიდდება 1,4-ჯერ, ცემენტის წარმოება 1975 წელს 122-127 მილიონ ტონას მიაღწევს.

სახალხო მოხმარების საქონლით მოსახლეობის მოთხოვნილებათა ფართოდ დაკმაყოფილების მიზნით დიდი პერსპექტივები ისახება მსუბუქი, კვებისა და ადგილობრივი მრეწველობის დარგებში. უნდა გადაიჭრას მოსახლეობის მრავალფეროვანი და მაღალხარისხოვანი სასურსათო საქონლით ყველგან შეუფერხებელი უზრუნველყოფის ამოცანა.

დიდი ღონისძიებები განხორციელდება კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საოჯახო დანიშნულების საქონლის წარმოების ყველა დარგში, მათი პროდუქცია 1,8-ჯერ გაიზრდება. გათვალისწინებულია ამ პროდუქციით მოსახლეობის მოთხოვნილებათა ყველაზე სრული დაკმაყოფილება. ამ ამოცანის შესრულებაში დიდი როლი ადგილობრივ მრეწველობას ეკისრება.

მრეწველობის მთავარი დარგების ახალი განვითარებისათვის დირექტივების პროექტი ითვალისწინებს ფართო ტექნიკურ პროგრესს და ახალი ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფას, ნედლეულისა და მასალების დაზოგვის, სიმძლავრეთა გამოყენების გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების ზრდის კონკრეტულ დავალებებსა და ღონისძიებათა სხვა კომპლექსებს, რომლებიც მიზნად ისახავენ წარმოების ინტენსიფიკაციისა და ეკონომიური ეფექტიანობის ამაღლებას.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის სოფლის მეურნეობას. იგი ბევრად განსაზღვრავს სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ზრდას და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

პარტიამ შეიმუშავა და წარმატებით ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ზრდის ფართო პროგრამას. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების საშუალო წლიური მოცულობა წინა ხუთწლედთან შედარებით 20-22 პროცენტით გაიზრდება. ამ ამოცანის წარმატებით შესრულება ითვალისწინებს მთელი აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების ტემპების გაძლიერებას, სოფლის მეურნეობის, მისი ნედლეულის გადამმუშავებელი მრეწველობის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და მინერალური სასუქების მწარმოებელი დარგების განვითარების პროპორციულ თანაფარდობას.

ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესებისა და წარმოების კულტურის ამაღლებით გათვალისწინებულია ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მკვეთრი გადიდება. მარცვლეულის წარმოების ზრდა ახალ ხუთწლედშიც სოფლის მეურნეობის განვითარების კვლავ საკვანძო პრობლემად რჩება. მარცვლეულის პრობლემის გადაწყვეტის მიზნით მისი საშუალო წლიური მოსავალი სულ ცოტა 195 მილიონ ტონამდე გადიდდება. თვითეულ მეურნეობაში საკვები ბაზის განმტკიცებისა და პირუტყვის ჯიშის გაუმჯობესების მეცნიერულად დასაბუთებულ ღონისძიებათა სისტემის განხორციელების, პირუტყვის სულადობის გაზრდის საფუძველზე კიდევ უფრო განვითარდება მეცხოველეობა, კერძოდ, 1975 წლისათვის ხორცის წარმოება გადიდდება სულ მცირე 14,3 მილიონ ტონამდე დაკლული წონით, რძისა — 92,3 მილიონ ტონამდე, კვერცხისა 46,7 მილიარდ ცალამდე და მატყლისა 464 ათას ტონამდე. ამ ამოცანის გადაწყვეტის მთავარი გზაა შევქმნათ პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზა. ხუთწლედის დამლევისათვის სახელმწიფო საწარმოებში კომბინირებული საკვების წარმოება გაიზრდება სულ ცოტა 30 მილიონ ტონამდე და ცილა-ვიტამინიანი დანამატებისა ერთ მილიონ ტონამდე. დირექტივების პროექტი ითვალისწინებს აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მკვეთრ ზრდას.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდის დაჩქარებას ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობისათვის მინერალური სასუქების მიწოდების გადიდება 72 მილიონ ტონამდე და საკვები ფოსფატებისა კი 3 მილიონ ტონამდე.

ხუთწლედში საექსპლოატაციოდ გადაეცემა 3 მილიონი ჰექტარი ახალი სარწყავი მიწები. გაწყლოვანდება 41,2 მილიონი ჰექტარი საძოვრები. განხორციელდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაშრობა ჭარბტენიან ზონებში დაახლოებით 5 მილიონ ჰექტარ ფართობზე. გაუმჯობესდება სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფა, სარწყავი და დაშრობილი მიწების გამოყენება.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების დასახული ზრდის უზრუნველყოფისა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მიზნით სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, მათ შორის საწარმოო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისა და ტექნიკის შეძენისათვის გამოიყოფა 82,2 მილიარდი მანეთი. წლიური გეგმების შესრულების პროცესში კიდევ გამოინახება და სოფლის მეურნეობის განვითარებას დამატებით მოხმარდება ფინანსური და მატერიალური რესურსები.

სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები, რომლებიც ახალ ხუთწლედში ისახება, მართლაც გრანდიოზული და შთამბეჭდავია. სახალხო მეურნეობის ამ მნიშვნელოვანი დარგის განვითარებამ უნდა განაპირობოს საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური დონის ახალი აღმავლობა.

ეკონომიური მშენებლობის წარმატების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის აწყობილი მუშაობა. ახალ ხუთწლედში კიდევ უფრო ფართოდ განვითარდება ყველა სახეობის რკინიგზის, საზღვაო, სამდინარო, საავტომობილო, საჰაერო და საქალაქო ტრანსპორტი. ტრანსპორტის საერთო ტვირთბრუნვა 32-35 პროცენტით გადიდდება, ამაღლდება ტრანსპორტის ტექნიკური აღჭურვა. გაფართოვდება და გაუმჯობესდება გზების ქსელი. შეუფერხებლად განხორციელდება სახალხო მეურნეობის ყველა ტვირთების გადატანა.

უზრუნველყოფილი იქნება კავშირგაბმულობის, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის შემდგომი განვითარება უახლოეს ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების საფუძველზე. საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირგაბმულობის არხების სიგრძე დაახლოებით 1,9-ჯერ გადიდდება, ხოლო სატელეფონო სადგურების ტევადობა ქალაქად და სოფლად — 1,5-ჯერ.

სახალხო მეურნეობის განვითარებისა და მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლებისათვის დასახული ამოცანების შესრულება მოითხოვს კაპიტალური დაბანდებების ზრდას. ხუთწლედის წარმატებით განხორციელება წარმოუდგენელია, თუ ძირეულად არ გაუმჯობესდა კაპიტალური მშენებლობა. დირექტივები სახავენ კაპიტალურ დანახარჯთა ეფექტიანობის მნიშვნელოვან ამაღლებას, მშენებლობისათვის გამოყოფილი მატერიალური და ფინანსური რესურსების რაციონალურად გამოყენებას, ყოველ მანეთ დაბანდებულ სახსრებზე პროდუქციის მაქსიმალური მატების მიღებას. ხუთწლედში გათვალისწინებულია კაპიტალური დაბანდებანი სახალხო მეურნეობაში 36-40 პროცენტით გადიდდეს.

მშენებლობის გაუმჯობესებისათვის დასახული ღონისძიებებიდან მეტად მნიშვნელოვანია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის სრულყოფა, სამშენებლო ორგანიზაციების სიმძლავრეთა გეგმაზომიერად და სწრაფი ტემპებით განვითარება, მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის დონის ზრდა.

ამხანაგებო! როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა სწრაფად დანერგვა საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდების, წარმოების ინტენსიფიკაციისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების გადამწყვეტი ფაქტორია. უამისოდ შეუძლებელია წარმატებით გადაწყდეს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანა.

(გაგრძელება მე-3 გვერდზე).

# ამხანაგ გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენება

(გაგრძელება)

ამასთან დაკავშირებით დირექტივებში [illegible] ამხანაგებო!

ახალ ხუთწლედში [illegible] 30 პროცენტით გადიდდება. გაიზრდება მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი დაახლოებით 20-22 პროცენტით, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება საზოგადოებრივ მეურნეობაში — 30-35 პროცენტით.

შრომის ანაზღაურების ფონდთან ერთად სოციალისტური საზოგადოების დოვლათის განაწილების ფორმაა მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები. მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები 40 პროცენტით გაიზრდება. დირექტივებით განზრახულია მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების გამოყენების კვლავაც გაფართოება. უწინარეს ყოვლისა სახალხო განათლების განვითარებისა და მოზარდი თაობის აღზრდისათვის, სპეციალისტთა და კვალიფიციურ მუშაკთა მომზადებისათვის, ჯანმრთელობის დაცვისათვის, სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ქსელის გაფართოებისათვის, სპორტული ღონისძიებებისათვის, გათვალისწინებულია ნაკლებ უზრუნველყოფილი მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მოსამსახურეთა და კოლმეურნე გლეხობის საპენსიო უზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის სისტემის სრულყოფა და სხვ.

მოსახლეობის შემოსავლის ზრდის და მოხმარების საგნების წარმოების გაფართოების შესაბამისად გაიზრდება საცალო საქონელბრუნვა ქალაქად და სოფლად. დირექტივებით გათვალისწინებულია 565-575 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, საბინაო სამშენებლო კოოპერაციის გაფართოება და საცხოვრებელი სახლების ხარისხის გაუმჯობესება.

დასახულია დასახლებული პუნქტების — ქალაქების, სოფლებისა და დაბების კეთილმოწყობისა და კომუნალური მომსახურების გაუმჯობესების ფართო პროგრამა.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების არსებითი გაუმჯობესებისათვის მისი მოცულობა მთლიანად ქვეყანაში გადიდდება სულ ცოტა ორჯერ, ხოლო სოფლად — 2,8-ჯერ.

დირექტივების პროექტი ითვალისწინებს სახალხო განათლებისა და სოციალისტური კულტურის ყოველმხრივ და თანმიმდევრულ სრულყოფას.

ხალხის სულიერ მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით კიდევ უფრო განვითარდება პრესა, ტელევიზია, რადიო, ლიტერატურა და ხელოვნება, განვითარდება კულტურის დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

სახალხო მეურნეობის განვითარების დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის დირექტივების პროექტი ფართო ღონისძიებებს ითვალისწინებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მართვისა და დაგეგმვის სრულყოფისათვის. მართვისა და დაგეგმვის სისტემისა და მეთოდების სრულყოფა უწინარეს ყოვლისა მიზნად ისახავს საზოგადოებრივი წარმოების ყოველმხრივ ინტენსიფიკაციას და მისი ეფექტიანობის ამაღლებას, რაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარების ძირითადი ხაზია.

სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის სრულყოფისათვის ფართოდ იქნება გამოყენებული ეკონომიურ-მათემატიკური მეთოდები, ელექტრონულ გამოსათვლელი და ორგანიზაციული ტექნიკა და კავშირგაბმულობის საშუალებანი.

თანმიმდევრულად გაფართოვდება და გაუმჯობესდება კადრების, მათ შორის ხელმძღვანელი კადრების მომზადება. გაგრძელდება და გაღრმავდება მუშაობა ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შემდგომი სრულყოფისათვის.

დირექტივების პროექტი შეიცავს თვითეული მოკავშირე რესპუბლიკის, მათი მსხვილი ეკონომიური რაიონების საწარმოო ძალთა კომპლექსური განვითარების, მათ შორის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ეკონომიკის ახალი აღმავლობის ძირითად ამოცანებსა და მიმართულებებს.

* * *

როგორც მთელმა საბჭოთა ქვეყანამ, ისე საბჭოთა საქართველომ მაღალ განვითარებას მიაღწია მერვე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების შედეგად. საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას, რესპუბლიკის მშრომელებს სრული საფუძველი აქვთ იამაყონ ამით.

განვლილ საანგარიშო პერიოდში გაწეული დიდი მუშაობის შესახებ ყრილობის დელეგატებს საკმაოდ სრულად მოხსენდათ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში. ამიტომ მე დაწვრილებით აღარ შევაჩერებ თქვენს ყურადღებას ამაზე და შევეხები წარსული ხუთწლედის დავალებების შესრულების მხოლოდ საკვანძო საკითხებს.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა მერვე ხუთწლედში ვითარდებოდა აღმავალი ხაზით, გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების კანონების მიხედვით. სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის დამახასიათებელი ნიშნებია ამ პერიოდში მატერიალური წარმოების ყველა დარგის განუხრელი აღმავლობა, ხალხის ცხოვრების დონის სისტემატური ამაღლება. ეკონომიკის ზრდის მყარი და მაღალი ტემპები უპირველეს ყოვლისა აისახა ეროვნული შემოსავლის განუხრელი გადიდებით. მოხმარებისა და დაგროვებისათვის განკუთვნილი ეროვნული შემოსავალი ხუთწლედში 32,1 პროცენტით გაიზარდა. სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგის — მრეწველობის პროდუქციის მოცულობა მთლიანად რესპუბლიკაში 54 პროცენტით გადიდდა, ამასთან ზრდის საშუალო წლიურმა ტემპებმა ნაცვლად წინა ხუთწლედში მიღწეული 7 პროცენტისა 9 პროცენტი შეადგინა.

ტექნიკურმა პროგრესმა, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებამ განაპირობა შრომის ნაყოფიერების ამაღლება. პროდუქციის გამომუშავება მრეწველობის ერთ მუშაზე 37 პროცენტით გაიზარდა. შრომის ნაყოფიერების ამაღლების საფუძველზე მიღებულია მრეწველობის საერთო პროდუქციის ნამატის 77 პროცენტი.

განვლილ ხუთწლედში დიდი სახელმწიფო სახსრები იყო დაბანდებული კაპიტალურ მშენებლობაში. აშენდა და ამოქმედდა 3.364 მილიონი მანეთის ღირებულების ძირითადი საწარმოო ფონდები, ანუ წინა ხუთწლედზე 58 პროცენტით მეტი. ახალ საწარმოთა ამოქმედებასთან ერთად დიდი მუშაობა განხორციელდა საწარმოთა გაფართოება-რეკონსტრუქციის და მათი ტექნოლოგიური დანადგარების განახლებისა და მოდერნიზაციის ხაზით.

შრომის საერთო-საკავშირო განაწილების შესაბამისად ჩვენს რესპუბლიკაში განვითარდა სოფლის მეურნეობის მეტად მნიშვნელოვანი დარგები, რომელთაც საგრძნობი ხვედრითი წონა აქვთ საბჭოთა კავშირის ეკონომიკაში. ეს უპირველესად ყოვლისა არის მეჩაიეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მეციტრუსეობა, მეთამბაქოობა და სხვა ტექნიკური კულტურების წარმოება.

უკანასკნელ წლებში მკვეთრად შეიცვალა სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა, ამაღლდა საზოგადოებრივი მეურნეობის როლი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების საერთო მოცულობაში.

მერვე ხუთწლედში რესპუბლიკის ეკონომიკის თვალსაჩინო წარმატებებმა შექმნეს მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების რეალური პირობები. ისევე როგორც სსრ კავშირში მთლიანად, საქართველოში XXIII ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებული დავალებები ხალხის ცხოვრების დონის აღმავლობის დარგში ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულდა. მშრომელთა ხელფასის გადიდება, საპენსიო უზრუნველყოფის გაუმჯობესება, საზოგადოებრივი ფონდების ზრდა, კოლმეურნეთა შრომის გარანტირებული ფულადი ანაზღაურების შემოღება და სხვა საერთო-საკავშირო ღონისძიებანი, რა თქმა უნდა, შეეხო ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებსაც და განაპირობა მათი კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონეთა კიდევ უფრო დაახლოება.

ვაჯამებთ რა ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგებს, ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ჩვენმა რესპუბლიკამ მიაღწია უდიდეს წარმატებებს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, დაჩქარდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების პრაქტიკაში დანერგვის ტემპები.

ამავე დროს არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ მდგომარეობას, რომ სახალხო მეურნეობის ზოგიერთმა დარგმა და საწარმომ ვერ უზრუნველყო ზრდის გათვალისწინებული ტემპები, წარმატებით ვერ გაართვა თავი პროდუქციის ზოგიერთი სახეობის გამოშვებისა და რეალიზაციის დავალებებს.

ჩვენს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე, მათ გამომწვევ მიზეზებზე და გამოსწორების ღონისძიებებზე საკმაოდ სრულად იყო ლაპარაკი საანგარიშო მოხსენებაში და აღინიშნა კამათში გამოსული დელეგატების მიერ. მეცხრე ხუთწლიანი გეგმის დირექტივებით გათვალისწინებული ახალი დავალებების წარმატებით შესრულება, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ზრდის ამოცანები მოითხოვენ არსებულ ნაკლოვანებათა ძირეულ აღმოფხვრას.

ამხანაგებო! დირექტივების პროექტში მოცემულია საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1971-1975 წლებისათვის და მეურნეობის ცალკეული დარგების ზრდის მაჩვენებლები.

**ხუთწლედში გათვალისწინებულია სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის გადიდება 39-42 პროცენტით.**

როგორც ხედავთ, მრეწველობის ზრდის ტემპები ერთგვარად ნაკლებია ქვეყნის სახალხო მეურნეობის ამ დარგის განვითარებისათვის გათვალისწინებულ ტემპებზე. თუმცა თავისთავად იგი პატარა როდია, და ისეთი მოკავშირე რესპუბლიკების მრეწველობის განვითარების დონეზეა, როგორიც არიან უკრაინა, ლატვია, ესტონეთი და სხვ. მისი მიღწევა მოითხოვს დიდ და დაძაბულ ორგანიზატორულ და სამეურნეო მუშაობას.

რესპუბლიკის მრეწველობის განვითარების აღნიშნული თავისებურება აიხსნება იმით, რომ უკვე მიღწეულია ზოგიერთი დარგის მაღალი განვითარება და ნედლეულის არსებული რეზერვები ამ ეტაპზე ერთგვარად ზღუდავენ მათ შემდგომ ზრდას. ეს უპირველეს ყოვლისა შეეხება კვების მრეწველობის ტრადიციულ დარგებს, რომლის მოცულობა ჩვენი მრეწველობის საერთო პროდუქციის დიდ ნაწილს შეადგენს. ამავე დროს მრეწველობის ზოგიერთი დარგის — ელექტროენერგეტიკის, მანქანათმშენებლობის, ქიმიური მრეწველობის და სხვათა განვითარება არათუ არ ჩამორჩება, არამედ აღემატება კიდეც საერთო-საკავშირო დონეს.

დირექტივები ითვალისწინებენ უზრუნველყოფილ იქნას ელექტროენერგიის წარმოების გადიდება 1,7-ჯერ, მინერალური სასუქებისა — 2,3-ჯერ, ქიმიური ბოჭკოებისა — 1,6-ჯერ, ხელსაწყოების და ავტომატიზაციის საშუალებებისა — 3,4-ჯერ, შიფერისა — 2-ჯერ, შალის ქსოვილებისა — 1,5-ჯერ, ხილ-ბოსტნეულის კონსერვებისა — 1,4-ჯერ და ავეჯისა — 2-ჯერ.

ხუთწლედში დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა ენერგეტიკისა და განსაკუთრებით კი ელექტროენერგეტიკის ზრდა, რაც სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების საწინდარია.

აქ დამსწრეთათვის ალბათ ცნობილია, რომ ათეული წლის წინათ რესპუბლიკის ენერგეტიკული ბაზის განვითარება რამდენადმე ჩამორჩებოდა სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების ზრდის ტემპებს, ელექტროენერგიის ბალანსში იგრძნობოდა ერთგვარი დეფიციტი, რაც გვაიძულებდა გარკვეულად შეგვეზღუდა რესპუბლიკის მრეწველობის ენერგოტევადი დარგების განვითარება და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების, საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა ელექტროენერგიით დაკმაყოფილება.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული ენერგიული ზომების შედეგად, აგრეთვე საკავშირო მთავრობის დახმარებით, განხორციელდა სერიოზული ღონისძიებანი ელექტროენერგეტიკის ბაზის განმტკიცებისათვის. ერთ-ერთი ძირითადი ღონისძიება გახლდათ 930 ათასი კილოვატი სიმძლავრის თბილისის თბოელექტროსადგურის მშენებლობა. ამ თბოელექტროსადგურის ამუშავების შედეგად, რომელიც მთელი ჩვენი ელექტროენერგიის გამომუშავების 60 პროცენტს იძლევა, საგრძნობლად გაუმჯობესდა სახალხო მეურნეობის ენერგომომარაგება.

მიმდინარე ხუთწლედში სახალხო მეურნეობის ზრდის ტემპების შესაბამისად დაგეგმილია ელექტროენერგიის წარმოების კვლავაც სწრაფი ზრდა. იგი ხუთწლედში 1,7-ჯერ გადიდდება და მისი გამომუშავება 15,5 მილიარდ კილოვატ-საათს მიაღწევს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხუთწლედის ბოლოსათვის ერთი დღის განმავლობაში იმდენი ელექტროენერგია იქნება გამომუშავებული, რაც 1940 წელს ერთი თვის განმავლობაში. ამოქმედდება ენგურის ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრენი, ვარციხის კასკადის პირველი რიგი. დაიწყება ჟინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობა, რომელიც ითვალისწინებს წყლის გამოყენებას როგორც ჰიდროენერგეტიკული, ისე საირიგაციო და ქალაქ თბილისის წყალმომარაგების მიზნით. თბილისის თბოელექტროსადგურზე გათვალისწინებულია 360 ათასი კილოვატი სიმძლავრის ახალი აგრეგატების ამოქმედება.

მაგრამ, მიუხედავად ელექტროსადგურების სიმძლავრეების დაგეგმილი მაღალი ზრდისა, მოსალოდნელია, რომ ხუთწლედში და განსაკუთრებით 1975 წლის ბოლოსათვის ჩვენი ელექტროენერგეტიკული ბალანსი მაინც საკმაოდ დაძაბული იქნება. რესპუბლიკის საგეგმო კომიტეტის გაანგარიშებით ელექტროენერგიის მოთხოვნილებათა სრულად დაკმაყოფილების და ელექტროენერგეტიკული ბაზის უპირატესი განვითარების მიზნით, მიმდინარე ხუთწლედში, როგორც ეტყობა, გათვალისწინებულ უნდა იქნას კიდევ დამატებითი ელექტროენერგეტიკული სიმძლავრეების საექსპლოატაციოდ გადაცემა. ალბათ, საჭირო გახდება საკავშირო მთავრობაში შევიტანოთ სათანადოდ დასაბუთებული წინადადება დასავლეთ საქართველოში 300-500 ათასი კილოვატი სიმძლავრის თბოელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ. ეს საშუალებას მოგვცემს სწრაფად გადავჭრათ ჩვენი ელექტროენერგეტიკული ბალანსის გაჯანსაღების პრობლემა.

მაგრამ განსაკუთრებით დიდი სამუშაოებია შესასრულებელი ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე, რათა უზრუნველვყოთ გათვალისწინებულ სიმძლავრეთა ამოქმედება მიმდინარე ხუთწლედში. აათვისებელია 350-400 მილიონი მანეთი. რთული სამუშაოები უნდა შესრულდეს თაღოვანი კაშხალის, სადერივაციო გვირაბის და მიწისქვეშა ელექტროსადგურის სამანქანო შენობა-ნაგებობათა დასასრულებლად. ენგურის ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრეთა ამოქმედება უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამიტომ ეს მთელი ჩვენი რესპუბლიკის, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების საპატიო საქმე უნდა გახდეს. ენგურჰესის მშენებლებს დიდი დახმარება დასჭირდებათ საერთოდ, და პირველ რიგში კვალიფიციური მუშახელით უზრუნველყოფის საკითხში.

ახალ ხუთწლედში გათვალისწინებულია სამრეწველო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებისათვის სათბობის მოხმარება გაიზარდოს 57 პროცენტით. რაოდენობრივ ზრდასთან ერთად ნავარაუდევია სათბობი ბალანსის სტრუქტურის გაუმჯობესება. ბუნებრივი გაზის მოხმარება სათბობის საერთო ბალანსში 45,4 პროცენტს შეადგენს, ნაცვლად 25 პროცენტისა 1970 წელს. ბუნებრივი გაზის მოხმარების ასეთი ზრდა განპირობებულია მისი რესურსების გადიდებით უწინარეს ყოვლისა გაზის ირანიდან მოწოდების ხარჯზე.

მიმდინარე ხუთწლედში გაიზრდება ქვანახშირის მოპოვება. გათვალისწინებულია ტყიბულში აშენდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს ორი ახალი მაღარო, თვითეული 600 ათასი ტონის სიმძლავრისა.

კიდევ უფრო განვითარდება შავი და ფერადი მეტალურგია. შავი მეტალურგიის განვითარების შემდგომი ამოცანებია რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში თუჯის, ფოლადისა და ნაგლინის წარმოების გაფართოება და, რაც მთავარია, ამ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. თუჯის წარმოება ხუთწლედში 21 პროცენტით გაიზრდება. ამას უზრუნველყოფთ ბრძმედების სიმძლავრეების ზრდისა და მათი უკეთ გამოყენების საფუძველზე.

ნავარაუდევია აგრეთვე სხვა ტექნოლოგიური დანადგარების სრულყოფა, რაც მზა პროდუქციის ხარისხს გააუმჯობესებს, და პირველ რიგში უზრუნველყოფს მსოფლიო სტანდარტების დონეზე ნაგლინი მილების გამოშვებას.

როგორც ცნობილია, ჩვენი შავი მეტალურგიის ერთ-ერთი უძველესი დარგია მარგანეცის მრეწველობა, რომელიც განვითარდა ჭიათურის მარგანეცის უნიკალური საბადოს ბაზაზე. უკვე 90 წელიწადზე მეტია, რაც წარმოებს ამ საბადოს საკმაოდ ინტენსიური დამუშავება. უნდა ითქვას, რომ დღევანდლამდე ძირითადად იყენებდნენ მხოლოდ დაჟანგულ მაღალხარისხოვან მადნებს. კარბონატული, მჩატეფორიანი და სხვა დაბალი ხარისხის მადნეულის გადამუშავება არ წარმოებდა, რის შედეგადაც ადგილი ჰქონდა მათ დიდ დანაკარგებს.

ვინაიდან მაღალი ხარისხის შემცველი მადნეულის მარაგი რამდენადმე შემცირდა, დღის წესრიგში დგება დაბალი ხარისხის მადნეულის უტილიზაციის საკითხი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის მიერ შემუშავებულია და სათანადო უწყებებთან შეთანხმებულია მარგანეცის მადნის ახალი სტანდარტები, რაც ღარიბი მადნეულის გამოყენების საშუალებას იძლევა.

ამავე დროს, ჩვენი აზრით, დროა გადაწყდეს მთელი მარგანეცის კონცენტრატების ადგილზე მანგანუმის შენადნობებად გადამუშავების საკითხი და საზღვარგარეთ გატანილ იქნას არა მარგანეცის კონცენტრატები, როგორც დღევანდლამდე ხდებოდა, არამედ ფეროშენადნობები. ეს დიდ ეკონომიურ ეფექტს მისცემს სახელმწიფოს. ამის შედეგად მიღებული შემოსავალი რამდენჯერმე გაიზრდება.

ამასთან უნდა დაჩქარდეს წვრილმარცვლოვანი მარგანეცის მადნის დანაჭროვანების საკითხი — აგლომერაცია და დაბრიკეტება, რაც დახურული ღუმელების ნორმალური მუშაობის პირობებს შექმნის და მოსპობს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მიერ ატმოსფეროს გაჭუჭყიანებას.

მანგანუმის ღარიბი მადნების გამოყენების თვალსაზრისით დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს ამ პროდუქტების გამოყენებას ქიმიურ მრეწველობაში — უმაღლესი ხარისხის რეაქტივების მისაღებად, ელექტროტექნიკურ მრეწველობაში — გალვანური ბატარეების წარმოების მიზნით.

ეს საკითხი სათანადო საკავშირო ორგანოებში იხილება და გადაწყვეტის სტადიაშია. მაგრამ, ჩვენი აზრით, უნდა გადაისინჯოს ამ წარმოების მშენებლობის ადგილი. მისი მშენებლობა ნავარაუდევია რუსთავში, მაგრამ, სავსებით ბუნებრივია, რომ ამ პროფილის წარმოება უნდა მიუახლოვდეს ნედლეულის წყაროს და შეიქმნას ჭიათურის რაიონში. მით უმეტეს ამ რაიონში არსებული მუშახელის ბალანსი ამის შესაძლებლობას იძლევა.

ფერად მეტალურგიაში არსებულ სიმძლავრეთა უკეთ გამოყენებასთან ერთად ნავარაუდევია სპილენძგამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობის დამთავრება ბოლნისის რაიონში. მადნეულის საბადოში აღმოჩენილი სპილენძის მადნის მარაგი გვისახავს დიდ პერსპექტივას, რომ საქართველოს ამ ახალ სამრეწველო რაიონში შეიქმნას ფერადი მეტალურგიის მსხვილი საწარმო და ამავე დროს თანმხლები პროდუქტების ბაზაზე გოგირდმჟავას და გამდიდრების ნარჩენების გამოყენებით ხარისხოვანი საშენი მასალების წარმოება.

აფხაზეთის მთიან ნაწილში ჩვენი გეოლოგების მიერ აღმოჩენილია მეტად პერსპექტიული დიდი სიმძლავრის დამადნებული ზონა, რომელიც შეიცავს სპილენძსა და პოლიმეტალებს — ტყვიასა და თუთიას.

წინასწარი მონაცემები მეტად საიმედოა და უნდა ვიფიქროთ, რომ მიმდინარე ხუთწლედში აფხაზეთში შეიქმნება ამ ფერადი ლითონების წარმოების განვითარების ბაზა.

მიმდინარე ხუთწლედში თითქმის ორჯერ გაიზრდება ქიმიური მრეწველობის პროდუქცია, რაც ძირითადად მიღწეული იქნება არსებული სიმძლავრეების უკეთ გამოყენების საშუალებით.

გამოშვებული პროდუქციის ზრდა ძირითადად გათვალისწინებულია რუსთავში მინერალური სასუქების წარმოების გადიდებით 2,3-ჯერ და ქიმიური ბოჭკოებისა — 1,6-ჯერ.

საგრძნობლად გადიდდება ლითოფონის წარმოება ქუთაისის ლითოფონის ქარხანაში, აგრეთვე კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო საჭიროების ქიმიური პროდუქციის გამოშვება.

გათვალისწინებულია საშენ მასალათა მრეწველობის უპირატესი ტემპით განვითარება, რადგან ეს დარგი, საკმაოდ სწრაფი ზრდის მიუხედავად, უკანასკნელ წლებში ვერ აკმაყოფილებს კაპიტალური მშენებლობის მზარდ მოთხოვნილებებს. ახალ ხუთწლედში საშენ მასალათა წარმოების მოცულობა 78 პროცენტით, საკედლე მასალების წარმოება 64 პროცენტით იმატებს, შიფერის გამოშვება — 2-ჯერ, ხოლო ასაწყობი სამშენებლო კონსტრუქციებისა და დეტალების წარმოება 1,8-ჯერ გაიზრდება.

სრული სიმძლავრით ამუშავდება გარდაბნის მუყაოს-რუბეროიდის ქარხანა, რომელიც 120 მილიონ კვადრატულ მეტრ რუბეროიდს და 50 ათას ტონა მუყაოს გამოუშვებს. ნავარაუდევია საკედლე პანელების, აზბესტცემენტის სახურავი ფილების, დიატომიტის ფხვნილის წარმოების ქარხნების მშენებლობა და საექსპლოატაციოდ გადაცემა. სამშენებლო სამუშაოების უკეთ უზრუნველყოფის მიზნით გაიხსნება ინერტული მასალების ახალი კარიერები და სხვ.

რესპუბლიკის მშენებლობის მოთხოვნილებათა იაფი საშენი მასალებით უკეთ დაკმაყოფილების მიზნით დიდი მნიშვნელობა აქვს ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონებში პერლიტებისა და ობსიდიანების მდიდარი საბადოების სამრეწველო ათვისებას. ამ საბადოების ბაზაზე მსუბუქი შემვსები მასალების წარმოება საშუალებას მოგვცემს უზრუნველვყოთ მოთხოვნილება მასზე ჩვენს რესპუბლიკაში და გავიტანოთ იგი ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებშიც.

იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ ამ პროდუქციის გაზიდვა, რესპუბლიკის მთავრობამ დააყენა საკითხი საკავშირო ორგანოებში, რომ მადნეულამდე არსებული რკინიგზის შტო გაგრძელდეს ახალქალაქამდე.

თუ ამ გზის მშენებლობის საკითხი, რომელიც ბოლნისის, დმანისის, ბოგდანოვკისა და ახალქალაქის რაიონებს გადაკვეთს, დადებითად გადაწყდა, იგი დიდ როლს შეასრულებს აგრეთვე სხვა სახალხო-სამეურნეო ტვირთის გადაზიდვის გაუმჯობესების საქმეში და ამ რაიონების ეკონომიკის შემდგომ განვითარებაში.

დირექტივების პროექტით გათვალისწინებულია აგრეთვე მძიმე მრეწველობის ზოგიერთი დარგის ახალი განვითარება. ჩარხმშენებლობა და საინსტრუმენტო მრეწველობა გაიზრდება 1,8-ჯერ, სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება — 2,1-ჯერ და სხვ., რაც ძირითადად მიღწეული იქნება მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციის, მათი ტექნოლოგიური დანადგარების განახლებისა და მოდერნიზაციის, ახალი პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების დანერგვისა და საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების ეფექტიანობის ზრდის გზით.

სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ღონისძიებაა თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნის სრული გადაყვანა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წარმოების სპეციფიკური დარგებისათვის აუცილებელი მანქანების წარმოებაზე. ათვისებული იქნება აგრეთვე ხელოვნური დაწვიმების და სეტყვის საწინააღმდეგო ღონისძიებათა დანიშნულების დანადგარები.

გათვალისწინებულია ქუთაისის ავტოქარხნის ზოგიერთი საამქროს რეკონსტრუქცია-გაფართოება, კერძოდ, ნახევრადმისაბმელების ახალი საამქროს მშენებლობა, მექანიკური საამქროს რეკონსტრუქცია, მისი ტექნოლოგიური დანადგარების განახლება და სხვ. ეს ღონისძიებები გაზრდის პროდუქციის მოცულობას და მკვეთრად გააუმჯობესებს მის ხარისხს.

დასრულდება მშენებლობა და სრული სიმძლავრით ამუშავდება რუსთავის თუჯის სასხმელი ქარხანა.

რესპუბლიკის საშუალო და მცირე ქალაქებში, წინა წლების პრაქტიკის შესაბამისად და არსებული შრომითი რესურსების გათვალისწინებით, ნავარაუდევია მძიმე მრეწველობის ზოგიერთი მეთაურ საწარმოთა ფილიალების შექმნა, მაგალითად, გურჯაანში — კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ფილიალისა და სხვ.

გათვალისწინებულია მანქანათმშენებლობის არალითონტევადი დარგების სწრაფი განვითარება — პირველ რიგში ხელსაწყოთა და ავტომატიზაციის საშუალებათა გამოშვება — 3,4-ჯერ, ელექტროტექნიკური მრეწველობისა — 1,6-ჯერ და სხვ. მანქანათმშენებლობის ამ დარგების განვითარების სწრაფი ტემპები მიღწეული იქნება როგორც ახალი სიმძლავრეების ამოქმედებით, ისე მოქმედი სიმძლავრეების უკეთ გამოყენებით, დასრულდება მშენებლობა და სრულ საპროექტო სიმძლავრეს მიაღწევს თბილისის მმართველი გამოსათვლელი მანქანების ქარხანა, სოხუმის ხელსაწყოთსამშენებლო ქარხანა, თბილისის ხელსაწყოთსამშენებლო ქარხნის ახალი კორპუსი, ბათუმის ახალი ელექტრომექანიკური ქარხანა და სხვ.

მიმდინარე ხუთწლედში გამოთვლითი ტექნიკის, საწარმოო და ტექნოლოგიური პროცესების მართვისა და ავტომატიზაციის დანადგარების და აპარატურის წარმოების ზრდა, რომელთაც საფუძველი წინა ხუთწლედში ჩაეყარათ, იმის შესანიშნავ პერსპექტივებს ქმნის, რომ წარმოების ამ პროგრესულ დარგებში ჩავაბათ საშუალო სპეციალური და საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდობა და კიდევ უფრო ავამაღლოთ მათი სპეციალური და შრომითი კვალიფიკაცია.

წარმოების ამ დარგების განვითარება დიდ ამოცანას უსახავს აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის ავტომატიზაციის საშუალებათა, მართვისა და გამოთვლითი ტექნიკის და სხვა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებსა და სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროებს, რომლებმაც უნდა დაამუშაონ და შექმნან ახალი დანადგარები და აპარატურა, რაც დიდად განაპირობებს საწარმოთა არსებული სიმძლავრეების უკეთ დატვირთვასა და გამოყენებას.

ფართო მოხმარების საქონელზე და კვების პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა უკეთ დაკმაყოფილების მიზნით, ადგილობრივი ნედლეული რესურსების ფართოდ გამოყენების შესაბამისად დასახულია რესპუბლიკის მსუბუქი და კვების მრეწველობის შემდგომი განვითარება.

მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის მოცულობა ხუთწლედში 43 პროცენტით გაიზრდება, მათ შორის შალის ქსოვილების გამოშვება 1,5-ჯერ გადიდდება. სწრაფი ტემპით გაფართოვდება ტრიკოტაჟისა და შეკერილი ნაწარმის გამოშვება. გათვალისწინებულია მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა გაფართოება-რეკონსტრუქცია და სიმძლავრეების გამოყენების მკვეთრი გაუმჯობესება.

მიმდინარე ხუთწლედში სრული სიმძლავრით ამუშავ-

(გაგრძელება მე-4 გვერდზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგ გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენება

(გაგრძელება)

დება ხაშურის საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკა, რომელიც წელიწადში 28 მილიონი მანეთის საგალანტერიო ნაწარმს გამოიმუშავებს, მექანიკური სათამაშოების და მიკროელექტროძრავების ქარხანა ქალაქ ცხინვალში, შულავრის ტყავნედლეულის ქარხანა, ფაიფურ-ქაშანურის ახალი საწარმო, გათვალისწინებულია თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის სრული რეკონსტრუქცია, ძველი დაზგების ახალი პროგრესული დაზგებით სრული შეცვლა, ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების, კულაშის საქსოვი ფაბრიკის გაფართოება-რეკონსტრუქცია და სხვ.

კიდევ უფრო განვითარდება რესპუბლიკის მრავალდარგოვანი კვების მრეწველობის ზოგიერთი დარგი. რძის მრეწველობის პროდუქცია — 1,8-ჯერ უნდა გადიდდეს, ხილბოსტნეულის კონსერვების გამოშვება — 1,4-ჯერ, ბორჯომის მინერალური წყლის ჩამოსხმა — 2-ჯერ. არსებული სანედლეულო რესურსების შესაბამისად გათვალისწინებულია სამარკო ღვინოების, შამპანურის და კონიაკის და კვების მრეწველობის სხვა პროდუქციის წარმოების გადიდება. კვების მრეწველობის საწარმოო სიმძლავრეთა ზრდა განხორციელდება ახალი ჩაის ფაბრიკების, პირველადი მეღვინეობის ქარხნების მშენებლობის და არსებულ საწარმოთა გაფართოებისა და მოწყობილობის განახლების გზით.

კვების მრეწველობას, როგორც უკვე მოგახსენეთ, დიდი ხვედრითი წონა აქვს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საერთო მოცულობაში და მის პროდუქციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა კავშირის ეკონომიკისათვის. ამიტომ რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოები კვლავაც განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ ამ დარგის ფართოდ განვითარებას არსებული ნედლეულის რესურსების გათვალისწინებით.

ჩვენი კვების მრეწველობის და მსუბუქი მრეწველობის მუშაკებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ასორტიმენტის გამდიდრებას, წარმოების კულტურის ამაღლებას, პროდუქციის ხარისხსა და მისი გარეგნული გაფორმების მკვეთრ გაუმჯობესებას.

სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების უკეთ დაკმაყოფილების მიზნით მიმდინარე ხუთწლედში მნიშვნელოვნად უნდა გაფართოვდეს კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საოჯახო დანიშნულების საქონლის წარმოება, აგრეთვე განვითარდეს მხატვრული სარეწები. წინა ხუთწლედის განმავლობაში რესპუბლიკის თითქმის ყველა ქალაქში შეიქმნა სამრეწველო კომბინატები; მათ მკვეთრად უნდა გაადიდონ ადგილობრივი მოხმარების პროდუქციის წარმოება, რაც ხელს შეუწყობს ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობის ამ პროდუქციაზე მოთხოვნილების უკეთ დაკმაყოფილებას.

**სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაზრდი**სათვის ნავარაუდევია არსებულ საწარმოთა გაფართოება-რეკონსტრუქციის ფართო ღონისძიებანი და ადგილობრივი მრეწველობის ახალი ობიექტების მშენებლობა. აშენდება და ამუშავდება რკინა-კავეულის გამომშვები ქარხანა ბოგდანოვკაში, დამთავრდება მექანიკური ქარხანა ცხინვალში, თბილისის № 3 მექანიკური, თბილისის ლითონკონსტრუქციების ქარხნების, ლილოს მექანიკური სათამაშოების ფაბრიკის, გორის მექანიკური ქარხნის რეკონსტრუქცია, მათი დანადგარების განახლება და მოდერნიზაცია.

**რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების** დავალებანი შემუშავებულია იმ ამოცანების შესრულების გათვალისწინებით, რომლებიც დასახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმმა და რომლებიც სოფლის მეურნეობის შემდგომ ინტენსიფიკაციასა და წარმოების მოცულობის განუხრელ გადიდებას გულისხმობენ. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია 23 პროცენტით გაიზრდება. ამასთან ერთად 1975 წლისათვის საზოგადოებრივი მეურნეობის წილი სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო მოცულობაში მიაღწევს 61 პროცენტს ნაცვლად 52 პროცენტისა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის შესაბამისად დასახულია ჩაის მწვანე ფოთლის წარმოება გადიდდეს 272 ათას ტონამდე, გათვალისწინებულია ყურძნის, ხილის, ციტრუსების, თამბაქოს, ეთერზეთოვანი და სხვა ტექნიკური კულტურების, აგრეთვე მარცვლეულის, ბოსტნეულის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების შემდგომი ზრდა, უმთავრესად ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობის გადიდების გზით. მოსავლიანობის ზრდასთან ერთად მიმდინარე ხუთწლედში გათვალისწინებულია 50 ათას ჰექტარზე მეტი ძვირფასი მრავალწლიანი ნარგავების — ჩაის და სხვა კულტურების ახალი პლანტაციების, ვენახების, ბაღების გაშენება, უმთავრესად ამოშრობისა და ირიგაციის შედეგად მიღებული ახალი მიწის ფართობებზე.

დიდი ყურადღება დაეთმობა საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომ აღმავლობას. მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ზრდა გათვალისწინებულია ძირითადად პროდუქტიულობის გადიდების და პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების გზით. მეცხოველეობის პროდუქციის ზრდაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სამრეწველო მეფრინველეობის განვითარება. 1971-1975 წლებში დამთავრდება კოდის, გორის, გაგრის, გომის და სხვა მეფრინველეობის ფაბრიკების მშენებლობა. ამასთან ერთად გათვალისწინებულია ექვსი ახალი მსხვილი მეხორცეობისა და მეკვერცხეობის მიმართულების ფაბრიკის მშენებლობა, რაც საშუალებას მოგვცემს გავადიდოთ ხუთწლედში ფრინველის ხორცის წარმოება 53 პროცენტით, ხოლო კვერცხისა — 74 პროცენტით. 1975 წლისათვის ფრინველის ხორცის დამზადება მიაღწევს 20 ათას ტონას, კვერცხისა კი 500 მილიონ ცალს. ხორცისა და რძის წარმოების სამრეწველო საფუძველზე გადაყვანისათვის გათვალისწინებულია მეცხოველეობის მსხვილი კომპლექსების მშენებლობა.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მეცხოველეობის საკვები ბაზის შემდგომ განმტკიცებას და განვითარებას.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის გაშლილი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებულია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინერალური სასუქებით, შხამქიმიკატებით, სასოფლო-სამეურნეო და სხვა ტექნიკით მომარაგების მკვეთრი გადიდება. ამ მიზნით 1971-1975 წლებში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა მიიღებს 15400 ტრაქტორს, 1200 მარცვლეულის ასაღებ კომბაინს, 11900 ავტომანქანას და სხვ. 1975 წელს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა მიიღებს აგრეთვე 800 ათას ტონამდე მინერალურ სასუქებს და საჭირო რაოდენობით შხამქიმიკატებს.

გათვალისწინებულია წყალსამეურნეო მშენებლობის დიდი პროგრამა. ხუთწლედის მანძილზე საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს 70 ათასი ჰექტარი გაწყლოვანებული მიწები და 50 ათასი ჰექტარი ამოშრობილი ჭარბტენიანი მიწის ფართობები. ძირითადად დასრულდება ზემო ალაზნის არხის პირველი რიგის სამუშაოები, და 41 ათასი ჰექტარიდან ბრუნვაში მოექცევა 30 ათასი ჰექტარი გაწყლოვანებული მიწის ფართობები, რომელთა ძირითად ნაწილს დაიკავებს დიდად შემოსავლიანი მრავალწლიანი ძვირფასი კულტურები. ზემო ალაზნის სარწყავი სისტემა მნიშვნელოვანია არა მარტო იმით, რომ ითვალისწინებს შიდა კახეთის მიწების გაწყლოვანებას, არამედ იმითაც, რომ იგი წყვეტს ამ რაიონის მოსახლეობის დიდი ნაწილის სასმელი წყლით მომარაგების საკითხს სპეციალური წყალსადენის მშენებლობის გზით. განსაკუთრებით დიდი სამელიორაციო სამუშაოები შესრულდება კოლხეთის დაბლობის დაჭაობებულ და ჭარბტენიან ფართობებზე. ამ მიწების ათვისება — მათი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მოქცევა, გზებისა და ახალ დასახლებათა მშენებლობა დიდი სახალხო-სამეურნეო ამოცანაა.

თანამედროვე პირობებში, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ირიგაციისათვის ყოველწლიურად დახარჯული წყლის რაოდენობა განუზომლად იზრდება და სახალხო მეურნეობის მიერ მოხმარებული წყლის თითქმის ნახევარს შეადგენს, აქტუალური მნიშვნელობა ეკისრება ირიგაციისათვის წყლის რაციონალურად გამოყენების საკითხს. 1975 წლისათვის ჩვენს სოფლის მეურნეობაში ირიგაციისათვის მოხმარებული წყლის რაოდენობა 1700 მილიონ კუბურ მეტრს მიაღწევს. ამიტომ სასოფლო-სამეურნეო და წყალთა მეურნეობის ორგანოებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ, რათა სრულად და მაღალი ეფექტიანობით გამოიყენონ სარწყავი წყალი, პრაქტიკაში უნდა დაინერგოს რწყვის თანამედროვე მეთოდები — ხელოვნური დაწვიმება და სხვ.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ხალხის საუნჯეა რესპუბლიკის ბუნებრივი სიმდიდრე, მისი მრავალფეროვნება. ამიტომ ყველა ღონისძიება უნდა განხორციელდეს მისი მოვლა-პატრონობისა და რაციონალურად გამოყენებისათვის. ცნობილია, რომ საქართველო მცირემიწიანი რესპუბლიკაა. ამიტომ სახნავ-სათესი ფართობების დაცვა, მათი ეფექტიანი გამოყენება და ფართობების ზრდა ჩვენი სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვანი ამოცანაა. სახნავ-სათეს ფართობებს დიდ ზიანს აყენებს წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზია. ამასთან დაკავშირებით დასახულია ეროზიის საწინააღმდეგო მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება — ტყეებისა და ქარსაფარი ზოლების გაშენება, მრავალწლიანი ბალახების თესვა, წყლის ამრიდი ღონისძიებების განხორციელება და სხვ. ეს ღონისძიებები ყველგან სრული მოცულობით უნდა შესრულდეს.

**1971-1975 წლებში რესპუბლიკაში კიდევ უფრო განვითარდება ყველა სახეობის ტრანსპორტი.** ყველასათვის ცნობილია, რომ რკინიგზის ტრანსპორტი თავისი გამტარუნარიანობის შეზღუდულობის გამო სრულად ვერ ართმევს თავს გაზრდილ ტვირთზიდვას და სახალხო მეურნეობის განვითარების ერთგვარ მუხრუჭად გადაიქცა. ამიტომ სარკინიგზო ტვირთზიდვის გადიდების საქმეში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მეორე ლიანდაგის დაგება ამიერკავკასიის რკინიგზის გადამწყვეტ უბნებზე. ამ სამუშაოთა პირველი რიგი სურამის უღელტეხილზე დამთავრდება 1973 წელს. გათვალისწინებულია აგრეთვე საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის ხელახალი ტექნიკური აღჭურვა, რაც საშუალებას მოგვცემს მისი ტვირთბრუნვა 68 პროცენტით გავზარდოთ.

მნიშვნელოვნად გაფართოვდება რესპუბლიკის საავტომობილო გზების მშენებლობა. გაუმჯობესდება მათი ტექნიკური მდგომარეობა, გაიზრდება მაგარი საფარის მქონე გზების სიგრძე. დამთავრდება საქართველოს სამხედრო გზის მძიმე მონაკვეთების რეკონსტრუქცია. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება შავი ზღვის სანაპირო საავტომობილო მაგისტრალი. აშენდება ჯვარი-ხაიში-მესტიის მაღალმთიანი საავტომობილო გზა. დამთავრდება ბათუმი-ხულოს გზის რეკონსტრუქცია. ნავარაუდევია სამტრედია-ბათუმი-სარფის მიმართულებით დიდი მოცულობის საგზაო-სამშენებლო სამუშაოები, რაც გულისხმობს ამ მიმართულებით საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის გახსნას. საექსპლოატაციოდ გადაეცემა მთელი რიგი საავტომობილო გზების მონაკვეთები ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების გვერდის ასავლელად. აშენდება 10 კილომეტრზე მეტი საერთო სიგრძის რკინაბეტონის ხიდები.

მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდება კავშირგაბმულობის ყველა საშუალებათა გაფართოებისა და გაუმჯობესების მიზნით.

**ახალ ხუთწლედში გათვალისწინებულია კაპიტალურ დაბანდებათა მკვეთრი გადიდება** წინა ხუთწლედთან შედარებით. 1971-1975 წლებში კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა 3380 მილიონ მანეთს შეადგენს, ესე იგი 42 პროცენტით გაიზრდება. კაპიტალური დაბანდებების განსაკუთრებით დიდი ზრდაა გათვალისწინებული სოფლის მეურნეობის ხაზით; დაბანდებული იქნება 1408,2 მილიონი მანეთი, ანუ 77 პროცენტით მეტი.

კაპიტალურ დაბანდებათა გაზრდილი მოცულობის ათვისებისათვის საჭიროა, რომ რესპუბლიკაში ამაღლდეს მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის დონე, უკეთ აღიჭურვონ სამშენებლო ორგანიზაციები დიდი წარმადობის ტექნიკით, გაფართოვდეს მშენებლობაში ეფექტიანი საშენი მასალების და ასაწყობი ქარხნული მზადყოფნის კონსტრუქციებისა და დეტალების გამოყენება და გაუმჯობესდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმე. საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის მდგომარეობა, რომ ხშირად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დაბალი ხარისხი მშენებლობის ვადების გაჭიანურებისა და მისი გაძვირების მიზეზი ხდება.

მშენებლობაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვამ, რაც ხელს შეუწყობს დიდი სამშენებლო პროგრამის წარმატებით შესრულებას.

სახალხო მეურნეობის წინაშე დასახული დიდი ამოცანები წარმატებით შესრულდება მხოლოდ იმ პირობით, თუ ყოველმხრივ გამოვიყენებთ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, უზრუნველვყოფთ მეცნიერებისა და წარმოების მჭიდრო კავშირს.

ტექნიკური პროგრესის საქმეში თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევმა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებმა.

ფუნდამენტურ მეცნიერებათა დარგში თეორიული კვლევის ყოველი ღონისძიებით განვითარებასთან ერთად სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა თემატიკა უნდა წარიმართოს რესპუბლიკის საწარმოო ძალთა ათვისების გაფართოებისათვის.

კიდევ უფრო განვითარდება მთიანი რაიონებისა და სხვა ტერიტორიის ბუნებრივი რესურსების კომპლექსური გამოყენებისა და გარდაქმნის მეცნიერული საფუძვლების, გეოფიზიკური მოვლენების შესწავლა და ზოგიერთი ბუნებრივი პროცესის მსვლელობაზე აქტიური ზემოქმედების მეთოდების დამუშავება, საქართველოს ტერიტორიაზე გეოლოგიური წარმონაქმნებისა და სასარგებლო წიაღისეულის განლაგების კანონზომიერებათა, ფლორისა და მცენარეული საფარის ყოველმხრივი კვლევა და სხვ.

**გაგრძელდება და გაფართოვდება მეცნიერული მუშაობა გამოთვლითი მათემატიკის, ბირთვული ფიზიკის, კიბერნეტიკის, ბიოლოგიის და მეცნიერებისა და ტექნიკის** მთელ რიგ ახალ პროგრესულ დარგებში და ამ კვლევა-ძიების შედეგების პრაქტიკაში დანერგვა.

ამხანაგებო! ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, რესპუბლიკაში დიდი ღონისძიებებია დასახული ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და ცხოვრების დონის ამაღლებისათვის.

**მატერიალური წარმოების ზრდის პროგრამის** შესაბამისად 44 პროცენტით გადიდდება გამოყენებული ეროვნული შემოსავალი, დაახლოებით 38 პროცენტით მოიმატებს მშრომელთა რეალური შემოსავალი.

მიმდინარე ხუთწლედში გადაიდგმება ახალი დიდი ნაბიჯი საბინაო პრობლემის ძირითადად გადაჭრის მიზნით, რისთვისაც განსაზღვრულია მარტო მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარების სამინისტროებისა და უწყებებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებების, აგრეთვე საბინაო-კოოპერაციული წყაროების ხარჯზე აშენდეს 3,3 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, ანუ 36 პროცენტით მეტი, ვიდრე წინა ხუთწლედში. გარდა ამისა, მუშა-მოსამსახურეები, კოლმეურნეობები და კოლმეურნეები სახელმწიფო კრედიტების დახმარებით ააშენებენ 3,2 მილიონ კვადრატულ მეტრამდე საცხოვრებელ სახლებს. წინა ხუთწლედთან შედარებით უფრო ფართო საბინაო მშენებლობას აწარმოებენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმო-დაწესებულებები. საბინაო ფონდის რაოდენობრივ ზრდასთან ერთად გათვალისწინებულია არსებული საცხოვრებელი ფონდის კეთილმოწყობა.

საბინაო მშენებლობის მოცულობის გადიდებასთან ერთად მიმდინარე ხუთწლედში დიდი მუშაობა გაიშლება კომუნალური მეურნეობის გაფართოება-გაუმჯობესებისთვისაც. ამ პრობლემების გადასაწყვეტად გამოყოფილი თანხები საგრძნობლად აღემატება წინა ხუთწლედში დახარჯულ სახსრებს. რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონში გათვალისწინებულია წყალსადენის, კანალიზაციის, გაზიფიკაციის, თბოფიკაციის და სხვა სამუშაოთა ფართო მასშტაბი. 1971-1975 წლების განმავლობაში წყალსადენის ქსელის სიგრძე 1,6-ჯერ გადიდდება, კანალიზაციის სისტემების გამტარუნარიანობა—24,5 პროცენტით, კანალიზაციის ქსელის გაფართოება განაპირობებს ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების სანიტარული პირობების მკვეთრად გაუმჯობესებას, მინიმუმამდე შეამცირებს მოსახლეობაში ინფექციური და განსაკუთრებით კუჭ-ნაწლავის მწვავე დაავადებათა გავრცელების საშიშროებას. ამჟამად გაზით სარგებლობს რესპუბლიკის მოსახლეობის მხოლოდ ნახევარი, მათ შორის ქალაქის მოსახლეობის 70 პროცენტი და სოფლის მოსახლეობის ერთი მესამედი. დაგეგმილია გაზიფიცირებული ბინების რიცხვის 66,8 პროცენტით გაზრდა, დამატებით 392 ათასი ბინის გაზიფიკაცია და რესპუბლიკაში ბუნებრივი გაზის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის მოხმარების გადიდება 1,6-ჯერ, ამჟამად მშენებლობის პროცესშია მაგისტრალური გაზსადენი გორიდან ქუთაისამდე. მისი მშენებლობის დამთავრება და ამოქმედება ნავარაუდევია 1972-1973 წლებში. ბუნებრივ გაზს მთავარი მაგისტრალის განშტოების საშუალებით მიიღებს აგრეთვე ხაშური და ბორჯომი. ხუთწლიანი გეგმის დამუშავების დროს, თუ მოხერხდა მაგისტრალური გაზსადენის გაგრძელების გათვალისწინება სოხუმისა და ბათუმის მიმართულებით, გადაწყდება საკითხი დასავლეთ საქართველოს მსხვილი სამრეწველო ქალაქების, რაიონული ცენტრების, სოფლებისა და შავი ზღვის სანაპირო კურორტების გაზმომარაგების შესახებ.

არსებითად გაუმჯობესდება მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურება. განსაკუთრებით განვითარდება საქალაქო ელექტროტრანსპორტი. მიმდინარე წელს დამთავრდება თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის პირველი რიგი, საექსპლოატაციოდ გადაეცემა 2,2 კილომეტრის სიგრძის ახალი ხაზი თბილისის 26 კომისრის რაიონში. ხუთწლედში დაიწყება მეტროპოლიტენის მშენებლობა საბურთალოს მიმართულებით.

თბილისის მოსახლეობის ზრდამ, რომელიც ვარაუდით 1980 წლისათვის 1100 ათას მიაღწევს, და საერთო და საკუთარ სარგებლობაში მყოფი ავტოტრანსპორტის მკვეთრმა გადიდებამ ქალაქში ტრანსპორტის მიმოსვლის დიდი სიძნელეები შექმნა. ამიტომ გადაუდებელ ამოცანად უნდა ჩაითვალოს ქალაქის სატრანსპორტო მოძრაობის სქემის შედგენა, რომელიც გაითვალისწინებს ჩქაროსნული მაგისტრალების შექმნას და მეტროპოლიტენის შემდგომ გაფართოებას. განვითარდება აგრეთვე სხვა სახეობათა საქალაქო ტრანსპორტი.

მოზარდი თაობის აღზრდისა და განათლებისათვის მუდმივი ზრუნვის გამოხატულებაა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების სტაციონარული ქსელის გაფართოება 35,4 პროცენტით და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლათა მატერიალური ბაზის და კონტინგენტის მნიშვნელოვანი მატება ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო სწავლების ღონისძიებათა განხორციელებასთან დაკავშირებით.

სასკოლო განათლებისათვის გათვალისწინებული კაპიტალური დაბანდებანი ისე უნდა განაწილდეს და წარიმართოს, რომ სასკოლო ბაზის ზრდამ შექმნას მესამე ცვლაში მეცადინეობის სრული ლიკვიდაციის საშუალება. ამას უნდა მოხმარდეს აგრეთვე სახელმწიფო გეგმის და ბიუჯეტის შესრულების მსვლელობაში გამონახული დამატებითი სახსრები.

ხუთწლედში დასახულია აგრეთვე უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე ყველა დარგის კვალიფიციური კადრების მომზადების გაფართოება, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის ზრდა, ბეჭდვითი სიტყვის პროდუქციის გადიდება და სხვ.

ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ ტელევიზიის გავრცელებისათვის გათვალისწინებულ სამუშაოთა მნიშვნელობა. ამ სამუშაოთა შესრულების შედეგად პრაქტიკულად რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონულ ცენტრებში უზრუნველყოფილი იქნება მდგრადი სატელევიზიო გადაცემების მიღება. ნავარაუდევია რადიო-სარეტრანსლაციო დანადგარებისა და სარელეო ხაზების მშენებლობა, რაც უზრუნველყოფს ტელეგადაცემების მიღებას ხულოს, ქედის, შუახევის, ასპინძის, ადიგენის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის და სხვა მაღალმთიან რაიონებში.

მკვეთრად გაუმჯობესდება მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. ხუთწლედის განმავლობაში აშენდება ახალი საავადმყოფოები, სადაც 8 ათასი საწოლი იქნება, დამთავრდება 1200-ადგილიანი რესპუბლიკური საავადმყოფოს მშენებლობა თბილისში და დაიწყება კიდევ ერთი ასეთი საავადმყოფოს მშენებლობა. გათვალისწინებულია 500-ადგილიანი მსხვილი რაიონული საავადმყოფოების მშენებლობა.

ახალ განვითარებას მიაღწევს ფიზიკური კულტურა და სპორტი. ამისათვის ნავარაუდევია კეთილმოწყობილი სპორტული ნაგებობების მშენებლობა.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საკურორტო და ტურისტული მეურნეობის შემდგომი გაფართოების ღონისძიებებს. მიმდინარე ხუთწლედში მნიშვნელოვანი მუშაობა განხორციელდება რესპუბლიკაში კურორტებისა და ტურიზმის განვითარებისათვის. საკურორტო ქსელი გაფართოვდება პირველ რიგში ისეთ საყოველთაოდ აღიარებულ საკურორტო ადგილებში, როგორიც არის გაგრა, ქობულეთი, ბაკურიანი, ბორჯომი, წყალტუბო და სხვ. ტურისტული მეურნეობის განვითარება გათვალისწინებულია რესპუბლიკის მაღალმთიან რაიონებში — საქართველოს ფშავ-ხევსურეთში, სვანეთში და სხვაგან. გათვალისწინებულია სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, სასტუმროების, კემპინგების, ავტომოტოოტელების, გზების, სასპორტო ნაგებობების და დასვენებისა და გართობის სხვა ობიექტების ფართო მშენებლობა.

ახალ ხუთწლედში გაუმჯობესდება რესპუბლიკის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურება ვაჭრობის პროგრესული ფორმების დანერგვის გზით. საცალო ვაჭრობის საქონელბრუნვა და საზოგადოებრივი კვება გადიდდება სულ ცოტა 1,5-ჯერ. საგრძნობლად გაუმჯობესდება მოსახლეობის მიერ კვების პროდუქტების მოხმარების სტრუქტურა. მაგალითად, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ნავარაუდევია ხორცისა და ხორცის პროდუქტების მოხმარების ზრდა 1,4-ჯერ, თევზისა და თევზის პროდუქტებისა — 1,5-ჯერ, რძისა და რძის პროდუქტებისა — 1,3-ჯერ, კვერცხისა კი — 1,6-ჯერ და სხვ. მნიშვნელოვნად გადიდდება ხანგრძლივი მოხმარების საგნების — საყოფაცხოვრებო მაცივრების, ტელევიზორების, რადიომიმღებების, ავეჯის, მსუბუქი ავტომობილების და კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საოჯახო დანიშნულების სხვა საქონლის გაყიდვა. გაფართოვდება მაღაზიებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელი. ვაჭრობისათვის შეიქმნება კარგი, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

მოსახლეობის რეალური შემოსავლების ზრდასთან დაკავშირებით ისახება მომსახურების არამატერიალური სფეროს მოცულობის გადიდების აუცილებლობა, მიმდინარე ხუთწლედში გათვალისწინებულია ამის შესაბამისად საყოფაცხოვრებო მომსახურების გადიდება სულ ცოტა 2,2-ჯერ, მათ შორის სოფლის მოსახლეობისა — 3-ჯერ.

**ახალ ხუთწლედში აღმავლობით განვითარდება სახალხო მეურნეობა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.** წინასწარი მონაცემებით ნავარაუდევია მრეწველობის საერთო მოცულობის ზრდა 1,5-1,6-ჯერ. განსაკუთრებით განვითარდება სახალხო მოხმარებისა და საოჯახო საჭიროების საქონლის წარმოება. გაიზრდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის — ჩაის, ყურძნის, ხილის, ციტრუსების, ეთერზეთოვანი და სხვა ტექნიკური კულტურების პროდუქციის წარმოება და სახელმწიფო შესყიდვა.

ამხანაგებო! მე მოკლედ გაგაცანით სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი ამოცანები და მიმართულებანი, რაც გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დირექტივების პროექტით 1971-1975 წლებისათვის, აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივები, რომლებიც აქედან გამომდინარეობენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დირექტივების დამტკიცების შემდეგ დიდი მუშაობა გაიშლება ხუთწლიანი გეგმის შესადგენად ისე, რომ დავალებანი განაწილდეს წლების, დარგებისა და სამინისტროების მიხედვით. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ საწარმოების სწორად განლაგება, ადგილობრივი შრომითი რესურსების და ნედლეულის უფრო მიზანშეწონილად გამოყენება. ხუთწლიანი გეგმა უნდა ითვალისწინებდეს ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკების — აფხაზეთისა და აჭარის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების კომპლექსურ და პროპორციულ განვითარებას.

**იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის პროექტით გათვალისწინებულ სერიოზულ დავალებათა დროულად და გადაჭარბებით შესრულება, საჭიროა გარდავქმნათ მართვისა და დაგეგმვის ყველა რგოლის მუშაობა პარტიის ყრილობის დირექტივებში დასახულ სიახლეთა სულისკვეთებით.**

ახლა, როდესაც კომუნისტურმა პარტიამ კურსი აიღო წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის, მისი ეფექტიანობის ზრდის მიმართულებით, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაგეგმვის სრულყოფას. სახალხო მეურნეობის გეგმების მთავარი კრიტერიუმია საზოგადოების მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილება. დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის შესაბამისად ცენტრალიზებული დაგეგმვის პრინციპები რაციონალურად უნდა შეეხამებოდნენ მასების კოლექტიურ შემოქმედებით ინიციატივას, უნდა გაიზარდოს საწარმოთა უფლებები დაგეგმვისა და მართვის დარგში, რათა უფრო სრულად გამომჟღავნდეს დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის უპირატესობა და ეფექტი.

სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის სრულყოფის მიზნით უნდა უზრუნველვყოთ ეკონომიურ-მათემატიკური მეთოდების, ელექტრონულ-გამოსათვლელი და ორგანიზაციული ტექნიკის ფართო გამოყენება. ამ მიმართულებით გადაიდგა პირველი ნაბიჯები, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. მართვის ავტომატური სისტემების პრაქტიკაში დანერგვას, როგორც ეტყობა, ხელს უშლის სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მოუმზადებლობა ამ პროგრესული მეთოდების გამოყენებისათვის და საჭირო სპეციალისტების ნაკლებობა. მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც შეიმუშავებს და სათანადო სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად განახორციელებს ღონისძიებებს, კერძოდ განზრახულია უახლოეს ხანში რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის დარგის ავტომატური მართვის სისტემის შექმნა და დანერგვა, მუშაობა ამ მიმართულებით მიმდინარე ხუთწლედში კიდევ უნდა გაღრმავდეს და გაფართოვდეს.

ყრილობის დირექტივების პროექტში განსაკუთრებით ხაზგასმულია საწარმოო ძალთა განლაგების და სახალხო მეურნეობის პროპორციების გაუმჯობესების ამოცანები. ამ დებულებას ჩვენთვის, როგორც მოკავშირე რესპუბლიკისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და ამას ჩვენ უნდა მივაღწიოთ დარგობრივი და ტერიტორიული დაგეგმვის რაციონალური შეხამებით. მეცხრე ხუთწლედის ამოცანათა წარმატებით გადაჭრის ერთ-ერთი პირობაა წარმოების ეფექტიანობის ისეთი რეზერვების ამოქმედება, როგორიც არის, მაგალითად, არსებული ძირითადი ფონდებისა და საწარმოო სიმძლავრეთა უფრო სრულად გამოყენება. გაანგარიშებანი გვიჩვენებენ, რომ ჩვენი მრეწველობის ფონდების ერთეულზე პროდუქციის მიღების ერთი პროცენტით გადიდება უზრუნველყოფს წელიწადში სამრეწველო პროდუქციის ათეულ მილიონი მანეთით მატებას.

წარმოების ეფექტიანობის მკვეთრი ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა აგრეთვე მისი ეკონომიურად მიზანშეწონილი კონცენტრაცია და სპეციალიზაცია. წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის ერთ-ერთი ყველაზე უფრო პროგრესული ფორმაა საწარმოო გაერთიანებანი, რომლებიც უკანასკნელ წლებში ინტენსიურად იქმნებიან ქვეყნის მრეწველობის სხვადასხვა დარგში. ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულება მოითხოვს, რომ ამ საკითხებს გეგმის შესრულების მსვლელობაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს.

(დასასრული მე-5 გვერდზე).

# ამხანაგ გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენების დასასრული

ახალი ხუთწლედის გრანდიოზულ დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ყოველმხრივ უნდა განმტკიცდეს სახელმწიფო დისციპლინა სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში. ამაღლდეს თვითეული სამეურნეო ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა დაწესებული გეგმებისა და დავალებების დროულად შესრულებისათვის. გადაჭრით უნდა ამაღლდეს სამინისტროების პასუხისმგებლობა დარგის პროდუქციაზე საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილებისათვის, ამ პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხისათვის. უნდა განხორციელდეს ღონისძიებანი სამინისტროების, როგორც დარგობრივი მართვის უმაღლესი რგოლის, მუშაობის გაუმჯობესებისათვის. გაძლიერდეს მათი ყურადღება დარგის პერსპექტიული განვითარების, ტექნიკური პოლიტიკის, კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლების, სპეციალისტთა უკეთ განაწილებისა და გამოყენების საკითხებისადმი.

მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის პარტიის, მთელი ხალხის ყოველდღიური აქტიური საქმიანობა უზრუნველყოფს ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას, მოაახლოებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის დამთავრებას, ყოველმხრივ შეუწყობს ხელს კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორმირებას, ახალი ადამიანის აღზრდას.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დირექტივების პროექტის განხილვას ფართო სახალხო ხასიათი მიეცა. დირექტივებს სწავლობენ, განიხილავენ, მათ შესახებ მსჯელობენ რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, სამინისტროები, უწყებები, საწარმოთა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო დაწესებულებების კოლექტივები. სადღეისოდ უკვე გაიმართა ოთხი ათასამდე ღია პარტიული და მშრომელთა საერთო კრება, რომლებსაც 350 ათასზე მეტი კაცი დაესწრო და სადაც 21.000-ზე მეტმა მიიღო მონაწილეობა კამათში.

დირექტივების განხილვა საქმიან, შემოქმედებით ვითარებაში მიმდინარეობს. ისახება ხუთწლიანი დავალებების სრულად და გადაჭარბებით შესრულების გზები, კონკრეტული და ფართო ღონისძიებები კაპიტალური დაბანდებების, ახალი და არსებული საწარმოო სიმძლავრეების, მატერიალურ-ტექნიკური და შრომითი რესურსების უკეთ, უფრო ეფექტიანად გამოყენებისათვის.

შემოდის ბევრი წინადადება, რაც მიზნად ისახავს ცალკეული საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სახალხო მეურნეობის მთელი დარგების მუშაობის სრულყოფას. მაგრამ ზოგიერთი სამინისტრო, უწყება თუ საწარმო აყენებს ისეთ საკითხებს, რომლებიც თავისთავად მნიშვნელოვანია დარგის განვითარების თვალსაზრისით, მაგრამ მოითხოვს კაპიტალური დაბანდებებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დამატებით გამოყოფას, და ივიწყებენ იმას, რომ ახლა მთავარი მაინც ის არის, რომ მთელი საშუალებები გამოვიყენოთ მაქსიმალურად, რათა შევქმნათ და ვამრავლოთ სახალხო დოვლათი.

სამეურნეო გეგმებს ადამიანები ასრულებენ. თვითეული საბჭოთა ადამიანი თავისი შრომით აახლოებს კომუნიზმის გამარჯვებას. მთელ ჩვენს ქვეყანაში გაჩაღდა შემოქმედებითი მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა რაც შეიძლება სრულად გამოყენებას, წარმოების ინტენსიფიკაციის გაძლიერებას და ამ საფუძველზე მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში და ტრანსპორტზე ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებას. მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. წარმოების მაღალი ეფექტიანობისათვის მიზანდასახული ბრძოლა მართლაც უნდა გახდეს სოციალისტური მეურნეობრიობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი, ყველა საწარმოო კოლექტივის, მილიონობით მშრომელის სოციალისტური შეჯიბრების ძირითადი შინაარსი. შრომა დოვლათის წყაროა, და მხოლოდ შრომის ნაყოფიერების ზრდა თვითეულ სამუშაო ადგილზე და მთელი სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლება შექმნის იმ ბარაქას, რომელსაც საბჭოთა ადამიანები მიიღებენ საზოგადოებრივ წარმოებაში თვითეულის მიერ შეტანილი შრომითი წვლილის კვალობაზე. რაც მეტი იქნება ეროვნული შემოსავალი, მით უფრო მდიდარი იქნება ჩვენი ქვეყანა, მით უფრო უკეთ იცხოვრებს თვითეული საბჭოთა ადამიანი.

მეცხრე ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა [illegible] მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილია საბჭოთა კავშირისადმი. ჭეშმარიტად გრანდიოზული ახალი ხუთწლიანი გეგმების დირექტივების ციფრები და ვარაუდები ქვეყნდება საზღვარგარეთის პრესაში, რომელიც მათ ვრცელ კომენტარს უკეთებს. გაზეთები ერთსულოვნად აღნიშნავენ, რომ კომუნისტური პარტიის მიერ დასახულია ქვეყნის შესაძლებლობათა სწორი შეფასების შედეგად სოციალურ-ეკონომიური განვითარების ფართო პროგრამა. კაპიტალისტური სამყაროს რეაქციული წრეებიც კი იძულებული არიან აღიარონ ეს.

ამხანაგებო! საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობა მიმდინარეობს დელეგატთა მაღალი პოლიტიკური აქტივობის ნიშნით, იგი ერთხელ კიდევ ცხადყოფს საქართველოს პარტიული ორგანიზაციის რიგების ერთიანობას და დარაზმულობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

გამოვთქვამ რწმენას, რომ ჩვენი პარტიის ყრილობა ერთსულოვნად მოიწონებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დირექტივების პროექტს და საქართველოს მშრომელები, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა არა თუ წარმატებით შეასრულონ, არამედ გადაჭარბებითაც გაანაღდონ ახალი ხუთწლიანი გეგმის დავალებანი. (ტაში).

# კამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

## ამხ. გ. ნ. ჯუსოევის სიტყვა

### საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

ამხანაგებო! საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობა შეიკრიბა პერიოდში, რომელიც აღსავსეა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი დიდი ისტორიული მოვლენებით.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ემზადებიან ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXIV ყრილობას. ისინი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავს ახალი სახელოვანი საქმეებით აღნიშნავენ.

სამხრეთ ოსეთმა, როგორც საქართველოს შემადგენელმა ნაწილმა მოკლე ისტორიულ პერიოდში აგრეთვე არნახული ცვლილებანი განიცადა მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის ყოველდღიური დახმარებისა და ყურადღების მეოხებით უკანასკნელი 10-15 წლის მანძილზე ჩვენი ოლქის ეკონომიკაში განსაკუთრებით დიდი ძვრები მოხდა.

სასიხარულოა ჩვენი ახალგაზრდა მრეწველობის წარმატებანი. გასულ ხუთწლედში სამრეწველო წარმოების მოცულობა წინა ხუთ წელიწადთან შედარებით 2,2-ჯერ გავზარდეთ და გამოვუშვით 70 მილიონ მანეთისაზე მეტი ღირებულების სამრეწველო პროდუქცია. სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა შეადგინა 24 პროცენტი. სამრეწველო საწარმოებმა მერვე ხუთწლედში გეგმის გადაჭარბებით გამოუშვეს და გაანაღდეს 5 მილიონ მანეთისაზე მეტი ღირებულების პროდუქცია.

ოლქის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ კაპიტალდაბანდებათა მზარდი მოცულობანი. უნდა ითქვას, რომ კაპიტალური დაბანდების მოცულობის ზრდასთან ერთად იზრდება მათი ათვისების ტემპიც. მიუხედავად ამისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ კაპიტალური მშენებლობა ჩვენში კვლავ ჩამორჩება. მიზეზი ბევრია. მაგრამ მთავარი მიზეზი კვლავ არის სამშენებლო ორგანიზაციებს შორის სახსრების დაქსაქსვა, მექანიზმებით მათი არადამაკმაყოფილებელი აღჭურვილობა და არადამაკმაყოფილებელი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება.

კაპიტალურ მშენებლობაში ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად საჭიროა უწინარეს ყოვლისა შეიქმნას სამშენებლო ტრესტი საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ბაზაზე.

ბევრი რამ კეთდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები წლიდიწლობით აუმჯობესებენ მუშაობას, ადიდებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობასა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობას. გასულ ხუთწლედში მათ სახელმწიფოს მიჰყიდეს დიდძალი ხორცი, რძე, მატყლი, ხილი, შაქრის ჭარხალი, ყურძენი.

გასულ წელს მივიღეთ მარცვლეულისა და ბოსტნეულის, აგრეთვე ხილის შედარებით უხვი მოსავალი. ამან უზრუნველყო სახელმწიფოსათვის ამ პროდუქტების მიყიდვის სახელმწიფო დავალებათა გადაჭარბებით შესრულება. სახელმწიფოს გეგმის გადაჭარბებით მიეყიდა 74 ათასი ფუთი მარცვლეული, 17.700 ცენტნერი ხილი და 2.470 ცენტნერი ბოსტნეული. შესრულებულია აგრეთვე ხორცის, მატყლის, კვერცხისა და სხვა პროდუქტების მიყიდვის გეგმა.

სოფლის მეურნეობის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ მთის ზონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ. არარენტაბელური კოლმეურნეობების რიცხვი 50 პროცენტით შემცირდა, ხოლო ერთი კაცდღის ღირებულება 45 კაპიკით გაიზრდა.

ემზადებიან რა სკკპ XXIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, სოფლის მშრომელები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა ახალი ხუთწლედის პირველ წელს კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწიონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში.

ამხანაგებო! ოლქის მშრომელთა წარმატების საფუძველია პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სწორად დაყენება.

პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობენ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, სოციალისტური სამშობლოს ერთგულების სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდის საკითხებს. პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები ყოველდღიურად იბრძვიან კადრების პოლიტიკური მომზადებისა და მშრომელთა პოლიტიკური განათლების ამაღლებისათვის. გასულ წელს პარტიული განათლების სისტემაში მეცადინეობდა 7.720 კაცი, მათ შორის 5.600 კომუნისტი. მშრომელთა პოლიტიკურ აღზრდას ეწევიან ლექტორთა ჯგუფები და პარტიული კომიტეტების პოლიტიკური მომხსენებლები, აგრეთვე 435 პოლიტინფორმატორი.

სერიოზული ყურადღება ეთმობა პარტიული ორგანიზაციის რიგების თვისებრივ და რაოდენობრივ ზრდას. საანგარიშო პერიოდში პარტიის რიგებში მივიღეთ დაახლოებით 500 კაცი, ძირითადად, მუშები და კოლმეურნეები.

ამხანაგებო! მსურს გამოვთქვა რამდენიმე თხოვნა და სურვილი.

როგორც ცნობილია ქალაქ ცხინვალში მუშაობენ ოსური და ქართული თეატრები და ანსამბლი „სიმდი“. ისინი განლაგებული არიან 30-იან წლებში აგებულ ერთ შენობაში, რომელიც ამ შემოქმედებითი ორგანიზაციების მინიმალურ მოთხოვნილებებსაც კი ვერ უზრუნველყოფს. ოლქის ერთად ერთი მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშია შექმნილი, მოთავსებულია ძველ, ავარიულ და გამოუსადეგარ შენობაში. უკვე რამდენიმე წელია ვაყენებთ თეატრისა და მუზეუმის შენობათა აგების საკითხს, მაგრამ ჩვენი თხოვნა დაუკმაყოფილებელი რჩება. ჩვენ ვთხოვთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მხედველობაში მიიღონ ეს და მიმდინარე ხუთწლედის გეგმებში გაითვალისწინონ ამ ობიექტების მშენებლობა.

სამხრეთ ოსეთის პირობებში ძალიან ძნელია საყოველთაო სწავლებაში ყველა ბავშვის ჩაბმა. ჩვენში ხომ ძალიან ბევრია პატარ-პატარა დასახლებული პუნქტები, სადაც შეუძლებელია სკოლების გახსნა. ამ მდგომარეობიდან ერთად-ერთი გამოსავალია სკოლა-ინტერნატების მშენებლობა უფრო დიდ დასახლებულ პუნქტებში. ამიტომ გთხოვთ, რომ საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და განათლების სამინისტრომ მიმდინარე ხუთწლედში გაითვალისწინონ თუნდაც ორი საშუალო სკოლა-ინტერნატის მშენებლობა.

ჯავის რაიონი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით საქართველოს ერთ-ერთი საკურორტო რაიონია. მიუხედავად ამისა, თუ არ ჩავთვლით დიდ სამამულო ომამდე დიდი ხნით ადრე აშენებულ პატარა სანატორიუმს, იქ კარგა ხანია არაფერი არ გაკეთებულა.

ნება მიბოძეთ დავუთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ სამხრეთ ოსეთის პარტიული ორგანიზაცია და ყველა მშრომელი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რათა წარმატებით განახორციელონ ის გადაწყვეტილებანი, რომლებსაც ყრილობა მიიღებს. (ტაში).

## ამხ. ს. კ. კურკოტკინის სიტყვა

### ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი

ამხანაგო დელეგატებო! სიამაყის გრძნობას იწვევს წარმატებანი, რომლებიც მერვე ხუთწლედში მოვიპოვეთ კომუნისტური მშენებლობის ყველა დარგში.

გვიხარია, რომ საქართველოს კომუნისტების — რევოლუციურ ბრძოლაში გამობრძმედილი პარტიის ამ რაზმის ყრილობის მუშაობა მიმდინარეობს ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების უმაგალითო ზრდის პირობებში, რასაც სკკპ XXIV ყრილობის ზღურბლზე მიაღწია.

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარები უდიდესი ენთუზიაზმითა და მოწონებით შეხვდნენ ახალი ხუთწლიანი გეგმის დირექტივების პროექტს, რომლებშიც დასახულია საბჭოეთის შემდგომი განვითარების აღმაფრთოვანებელი პერსპექტივები.

მეომრებს ესმით, რომ მეცხრე ხუთწლედი, რომელიც წელს დავიწყეთ ახალ მატერიალურ და სულიერ ძალას შემატებს საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს, კიდევ უფრო ძლიერსა და მრისხანეს გახდის მტრებისათვის.

ამიერკავკასიელი მეომრები, ისევე როგორც ჩვენი ხალხი, სკკპ XXIV ყრილობას ეგებებიან კომუნისტური პარტიის, ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებულნი და მზად არიან შეასრულონ სამშობლოს ყოველი ბრძანება.

ნება მიბოძეთ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის კომუნისტების, ჯარისკაცების, სერჟანტებისა და ოფიცრების სახელით თქვენ და თქვენი სახით საქართველოს ყველა კომუნისტს, მშრომელებს გადმოგცეთ მგზნებარე საბრძოლო სალამი.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა შეუნელებელი ყურადღებით ეკიდებიან ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის საკითხებს, რაც განპირობებულია რთული საერთაშორისო ვითარებით; ისინი ყოველგვარ საჭირო ღონისძიებებს მიმართავენ არმიისა და ფლოტის საბრძოლო ძლიერების განსამტკიცებლად.

განვლილი მერვე ხუთწლედის წლებმა საშუალება მოგვცეს ახალ საფეხურზე აგვეყვანა საბჭოთა შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერება.

კიდევ უფრო განვითარდა სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარები. კიდევ უფრო გაიზარდა მათი შესაძლებლობანი და მზადყოფნა დაუყოვნებლივ მიაყენონ გამანადგურებელი დარტყმები აგრესორს დედამიწის ყოველ წერტილში.

ჩვენს ფლოტს შეემატა ატომური წყალქვეშა რაკეტმზიდი ნავები, რომლებსაც ძალუძთ მოსრან მოწინააღმდეგე მრავალათას კილომეტრზე წყალქვეშა მდგომარეობიდან.

მნიშვნელოვნად განახლდა საბრძოლო ავიაციის პარკი. ჩვენს მფრინავებს აქვთ პირველხარისხოვანი ზებგერითი თვითმფრინავები, რომლებსაც ძალუძთ დიდი სიზუსტით დააზიანონ მიზნები ჰაერში, დედამიწაზე, წყალზე და წყალქვეშ როგორც ატომური, ისე ჩვეულებრივი საშუალებებით. გაიზარდა ჩვენი ქვეყნის საჰაერო დაცვის ჯარების შესაძლებლობანი.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩვენი სახმელეთო ჯარების ძლიერება. ისინი აღჭურვილი არიან სრულყოფილი რაკეტული იარაღით, თანამედროვე ტანკებით, არტილერიით, სხვადასხვა დანიშნულების საბრძოლო მანქანებით.

ყველა სახეობის შეიარაღებულ ძალებში ფართოდ დაინერგა ავტომატიზებული მართვის საშუალებანი.

ხუთწლედის წლებში შეიარაღებულ ძალებს შეემატა მრავალი ასეული დიდად განათლებული ოფიცერი, სერჟანტი და ჯარისკაცი, რომლებიც სრულყოფილად ფლობენ თავიანთ იარაღს.

მთლიანად ჩვენი შეიარაღებული ძალები, მათ შორის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარებიც, განვლილ ხუთ წელიწადში კიდევ უფრო ძლიერი გახდნენ, გაიზარდა მათი საბრძოლო მზადყოფნა.

საქართველოს, ამიერკავკასიის ყველა მოძმე რესპუბლიკის მშრომელებს შეუძლიათ მშვიდად იმუშაონ მეცხრე ხუთწლედის დიდებული ამოცანების შესასრულებლად. მათი შთაგონებული შრომის სადარაჯოზე ფხიზლად დგანან ამიერკავკასიის მეომრები, რომლებსაც ღრმად აქვთ შეგნებული, რომ პარტიის წინასწარდასახულობათა წარმატებით შესრულება ახალ ხუთწლედში მხოლოდ იმ პირობითაა შესაძლებელი, თუ ისინი საიმედოდ დაიცავენ საბჭოთა ადამიანების მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას იმპერიალისტ აგრესორთა ხელყოფისაგან. ამიტომ ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ ქვეგანაყოფებისა და ნაწილების სიფხიზლისა და საბრძოლო მზადყოფნის გასაძლიერებლად.

მეომართა პოლიტიკური აქტივობის, საბრძოლო შრომაში მათი ენთუზიაზმის მკაფიო გამოხატულებაა სკკპ XXIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა.

ამ ყრილობისწინა დღეებში პოლიგონებზე, აეროდრომებზე, სასროლეთებსა და ტანკოდრომებზე მიმდინარეობს შეუპოვარი ბრძოლა საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების მაღალი მაჩვენებლებისათვის. ჯარისკაცები, სერჟანტები და ოფიცრები ხვეწენ თავიანთ ოსტატობას, ეუფლებიან თანამედროვე ბრძოლის სხვადასხვაგვარ პირობებში მოქმედებას.

მეომართა საბრძოლო შრომას, მათს ენთუზიაზმსა და პოლიტიკურ აღმავლობას კარგი შედეგები მოაქვს.

შეჯიბრების დროს, რომელმაც მასობრივი ხასიათი მიიღო, ოლქის ჯარებში აღიზარდა ზუსტი სროლის, ტანკებისა და სხვა საბრძოლო მანქანების ტარების ბევრი ოსტატი, თანრიგოსანი სპორტსმენი, სამხედრო-სპორტული კომპლექსის ნიშნოსანი. სკკპ XXIV ყრილობის შესახვედრად ყოველი მესამე მეომარი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარჩინებული გახდა, ნახევარზე მეტი — კლასის სპეციალისტი, ქვეგანაყოფების 80 პროცენტზე მეტს კარგი და ჩინებული მაჩვენებლები აქვს.

საბრძოლო სწავლაში, როგორც ყოველთვის, ტონის მიმცემი არიან კომუნისტები და კომკავშირელები — ძირითადი ძალა, რომელსაც ემყარება ჯარების მაღალი პოლიტიკურ-მორალური მდგომარეობა.

მეთაურთა შემადგენლობა, პოლიტორგანოები და პარტიული ორგანიზაციები პარტიის იდეების გამტარებელნი არიან, კარგად და მიზანსწრაფულად ზრდიან პირად შემადგენლობას იდეური რწმენის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ხალხის უსაზღვრო ერთგულებისა და აგრესორებისადმი სიძულვილის სულისკვეთებით.

ოლქის ჯარების წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში დიდია ოფიცერთა კადრების, ჩვენი შეიარაღებული ძალების ნამდვილი ოქროს ფონდის დამსახურება.

ოფიცრები და გენერლები ღირსეულად და პირნათლად ასრულებენ თავიანთ საპატიო და პასუხსაგებ მოვალეობებს, ისინი ხელქვეითთა ჩინებული მასწავლებლები, ჯარების ხელმძღვანელობის ოსტატები არიან.

სასიხარულოა აღინიშნოს, რომ ბევრი მათგანი ქართველი ხალხის ღირსეული შვილია. ჯარებში სახელი მოიხვეჭეს კომუნისტებმა გვალიამ, კილაძემ, ბასიაშვილმა და სხვებმა.

ერთ-ერთი ასეთი ოფიცერია ჩვენი ყრილობის დელეგატი ოფიცერი გაიოზ ვლადიმერის-ძე ნანეიშვილი.

ოლქის მთელი ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე იქმნებოდა და მტკიცდებოდა მისი მეომრების ტრადიციები და თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ არმიისა და ხალხის ერთიანობას. ამ დიდმნიშვნელოვან საკითხში განსაკუთრებით გვეხმარება ჩვენი ოლქის მეგობრობა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მშრომელებთან, რომელიც განუწყვეტლივ მტკიცდება.

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ აღგითქვათ თქვენ, ყრილობის დელეგატებს, რომ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრები, რომლებიც თავის ნახევარი საუკუნის იუბილეს ეგებებიან, ლენინის საქმის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის უსაზღვროდ ერთგული არიან და ყველაფერს იღონებენ საბრძოლო ოსტატობის შემდგომი სრულყოფისათვის, თავიანთ წვლილს შეიტანენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრაში. (ტაში).

სიტყვები იბეჭდება შემოკლებით.

## ამხ. შ. ი. მექვევრიშვილის სიტყვა

### გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ ბრიგადირი

ამხანაგებო! საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც ყრილობაზე გააკეთა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ, ღრმადაა გაანალიზებული საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობა. იმ გადაწყვეტილებათა შესრულება, რომლებსაც ყრილობა მიიღებს, უზრუნველყოფს კომუნიზმის გზით ჩვენი რესპუბლიკის შემდგომ წინსვლას.

მე, კოლმეურნე გლეხობის წარმომადგენელს, მახარებს, რომ ყრილობაზე მაღალი შეფასება მისცეს რესპუბლიკის საერთო წარმატებებში სოფლის მეურნეობის მუშაკთა წვლილს და კერძოდ, მევენახეთა წვლილს. მერვე ხუთწლედი, და განსაკუთრებით ამ ხუთწლედის დამამთავრებელი წელი — ლენინის იუბილეს წელი, მაღალი მაჩვენებლებით დავამთავრეთ. ამდენი ჩაი და ყურძენი საქართველოს ჯერ არასდროს არ დაუმზადებია.

კანონიერი სიამაყისა და სიხარულის გრძნობას იწვევს ის, რომ უხვი მოსავალი მოიყვანა საქართველოს ყველა მევენახეობის რაიონმა. გურჯაანის რაიონმა დაამზადა 75 ათას ტონაზე მეტი ყურძენი. პირადად მე არასდროს არ მინახია ყურძნის ესოდენ უხვი მოსავალი.

როცა სიტყვა გურჯაანის რაიონის მევენახეებზე ჩამოვარდება, არ შეიძლება პირველ რიგში არ დავასახელოთ სოფელ ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძი“ და მისი პირველადი პარტორგანიზაცია, რომელშიც ასზე მეტი კომუნისტია გაერთიანებული. ველისციხელები მთელ რესპუბლიკაში ცნობილი არიან როგორც ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატები. ჩვენს კოლმეურნეობას ხუთწლიანი გეგმით უნდა ეწარმოებინა 15.715 ტონა ყურძენი, ფაქტიურად კი ვაწარმოვეთ და სახელმწიფოს მივყიდეთ 16.930 ტონა. მარტო ლენინის საიუბილეო წელს 526 ჰექტარიდან საშუალოდ ჰექტარზე ნაცვლად 60 ცენტნერი ყურძნისა მოვიყვანეთ 72 ცენტნერი და სახელმწიფოს მივყიდეთ 4.000 ტონა ყურძენი. ასევე წარმატებით შეასრულა კოლმეურნეობამ სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები. მარტო ერთმა მევენახეობის ბრიგადამ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, 1970 წელს მოიყვანა 330 ტონა ყურძენი და კოლმეურნეობის სალაროში შეიტანა 151 ათას მანეთზე მეტი. წინათ ასეთი შემოსავალი მთელ კოლმეურნეობას არ ჰქონია.

1971 წელი საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის წელია. 50 წელი უსრულდება ველისციხის კოლმეურნეობასაც.

სიამაყით ვავლებთ გონების თვალს განვლილ გზას და კანონიერად გვახარებს მიღწევები.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით ყველა რეზერვსა და შესაძლებლობას როდი ვიყენებთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდებისათვის. ყურძნის წარმოებისა და დამზადების ზრდის დაჩქარებულ ტემპს ჩამორჩებიან გადამუშავების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სიმძლავრეები, ამიტომ პირველადი მეღვინეობის ქარხნებთან ხშირად დაინახავთ ყურძნით დატვირთული ავტომანქანების რიგს. ეს იწვევს დიდ დანაკარგს, ამცირებს ყურძნის ხარისხს. ქარხნებს არა აქვს საჭირო პირობებში ყურძნის შენახვის შესაძლებლობა, რაც საბოლოო ანგარიშით აუარესებს ღვინის ხარისხს. საჭიროდ მიგვაჩნია ყოველნაირად დაჩქარდეს ღვინის ქარხნების ტექნიკური ბაზის გაფართოება, ახალი ქარხნებისა და მარნების მშენებლობა.

ჩვენთვის, სოფლის კომუნისტებისათვის, მთავარი საზრუნავია, რომ უკლებლივ ყველა კოლმეურნემ მიიღოს მონაწილეობა საზოგადოებრივ შრომაში. ერთი კვირის წინ ველისციხეში მოეწყო სოფლის ყრილობა. ყრილობის მონაწილეებმა გადაწყვიტეს ისე მოიქცნენ, რომ სოფელი ველისციხე ცნობილი იყოს არა მარტო როგორც მოწინავე, არამედ როგორც სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის კოლმეურნეობა.

ახალი ხუთწლედის პირველი დღეებიდანვე გურჯაანის რაიონის მშრომელები თავდადებით შრომობენ, რათა ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXIV ყრილობას.

ჩვენ გადავწყვიტეთ მიმდინარე წელს მოვიყვანოთ 3.470 ტონა ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.920 ტონისა. ჩემმა ბრიგადამ ვალდებულება იკისრა მოკრიფოს 400 ტონა ყურძენი, რაც გეგმაზე 133 ტონით მეტია. (ტაში).

## სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტი და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრო იუწყებიან, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით1971 წლის 1 მარტიდან შემცირებულია სახალხო მოხმარების ზოგიერთი საქონლის სახელმწიფო საცალო ფასები:

ტელევიზორი, რომლის კინესკოპის დიაგონალის ზომა 47 სანტიმეტრამდეა (ჩათვლით) და მისი კინესკოპი საშუალოდ 19 პროცენტით;

გასულ წლებში გამოშვებული წარმოებიდან მოხსნილი ტელევიზორი, რომლის კინესკოპის დიაგონალის ზომა 47 სანტიმეტრამდეა (ჩათვლით) — საშუალოდ 30 პროცენტით;

სარეცხი მანქანა — საშუალოდ 16 პროცენტით;

საგზაო მოტოციკლი, რომლის ცილინდრების მოცულობა 125-175 კუბური სანტიმეტრია — საშუალოდ 19 პროცენტით;

მოტოროლერი — საშუალოდ 16 პროცენტით;

მოპედი— საშუალოდ 11 პროცენტით;

მოტოველოსიპედი — საშუალოდ 14 პროცენტით;

ელექტროსამართებელი და მექანიკური სამართებელი — საშუალოდ 20 პროცენტით;

აფსკით დაფარული კაპრონის ქსოვილისაგან დამზადებული ლაბადა („ბოლონიის“ ტიპისა) — საშუალოდ 15 პროცენტით;

აფსკის მასალებისაგან დამზადებული ნაწარმი (ლაბადა მოსასხამი, ხალიჩები პარკები, სუფრები და სხვა), პოლიეთილენისა და პოლივინილქლორიდის აფსკი — საშუალოდ 38 პროცენტით;

ზოგიერთი სახეობის ბურთულიანი ავტოკალამი — საშუალოდ 50 პროცენტით;

ბურთულიანი ავტოკალმის საწერი კვანძები (ამპულები) — საშუალოდ 38 პროცენტით;

აეროზოლით შეფუთული საყოფაცხოვრებო ქიმიის საქონელი — საშუალოდ 20 პროცენტით.



### სკკპ XXIV ყრილობის დელეგატები

საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის მიერ არჩეული სკკპ XXIV ყრილობის დელეგატთა ერთი ჯგუფი: (მარცხნიდან): ვ. ქემაშვილი, გ. ობოლაძე, ე. სოლომონია, ვ. მეტრეველი, ნ. მამაიაშვილი, დ. მაღალაშვილი, გ. აბაშიძე, თ. საური, ნ. გაბადაძე, ვ. მამათელაშვილი, მ. ორაგველიძე, ჟ. გერგაია, ნ. სიხარულიძე, შ. ბექაური და ვ. ჭელიძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხ. გ. მ. მიროტაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის გამოფენის განყოფილების უფროსი ამხ. გრიგოლ მალაქიას-ძე მიროტაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1971 წლის 26 თებერვალი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხ. ნ. ი. მექვაბიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე ამხ. ნესტორ იასონის-ძე მექვაბიშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1971 წლის 26 თებერვალი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხ. გ. გ. დოლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილე ამხ. გივი გიორგის-ძე დოლიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1971 წლის 26 თებერვალი.

# „დონ კარლოსის" პრემიერა

საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობას თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივმა მიუძღვნა თავისი ახალი ნამუშევარი — ფრიდრიხ შილერის დრამა „დონ კარლოსი" (თარგმანი გერმანულიდან ვ. ბეწუკელისა).

სპექტაკლი დადგა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, საქართველოსა და უკრაინის სსრ სახალხო არტისტმა დ. ალექსიძემ. მხატვრული გაფორმების ავტორია რესპუბლიკის სახალხო მხატვარი ფ. ლაპიაშვილი, მუსიკა ეკუთვნის რესპუბლიკის სახალხო არტისტს, კომპოზიტორ ო. თაქთაქიშვილს.

სპექტაკლში მთავარ როლებს ასრულებენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. გოძიაშვილი (მეფე ფილიპე მეორე), მსახიობები მ. ბიბილეიშვილი (ელისაბედ დედოფალი), მ. ეგუტია (დონ კარლოსი), რესპუბლიკის სახალხო არტისტები მ. დავითაშვილი (ოლივარესი), კ. მახარაძე (მარკიზ დე პოზა), ი. ტრიპოლსკი (ჰერცოგი ალბა), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები დ. ქუთათელაძე (გრაფი ლერმა), ტ. საყვარელიძე (დომინგო), გ. ტატიშვილი (სამეფოს დიდი ინკვიზიტორი).

სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა.

„დონ კარლოსის" მორიგი სპექტაკლები გაიმართება 8 და 6 მარტს.

## საზღვარგარეთის ამბები

● ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის დელეგაცია ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის ვ. ბილიაკის მეთაურობით, რომელიც ხუთი დღის ვიზიტად იყო არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, გუშინ საღამოს სამშობლოში გაფრინდა.

● დელი. ინდოეთში დაიწყო პარლამენტის ვადამდელი არჩევნები, რომელიც 10 მარტს დამთავრდება. არჩევნების პირველ დღეს კენჭისყრა გაიმართება ცხრა შტატსა და ორ მოკავშირე ტერიტორიაზე, 101 საარჩევნო ოლქში 518-დან, რომლებიც მთელ ქვეყანაში შეიქმნა. დღეს საარჩევნო ურნებთან მივა 73 მილიონამდე 21 წელს მიღწეული ინდოელი ამომრჩეველი 275 მილიონიდან.

● არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანვარ სადათმა თქვა, რომ, როგორც ეს მრავალგზის განუცხადებია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობას, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა მხარს უჭერს ახლო აღმოსავლეთის კრიზისის პოლიტიკურ მოწესრიგებას იმ პირობით, რომ ისრაელმა მთლიანად გაიყვანოს ჯარები ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან, ესე იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის საფუძველზე. სადათმა სიტყვა წარმოთქვა პალესტინის ეროვნული საბჭოს სესიაზე, რომელიც აქ გაიხსნა.

● ვაშინგტონი, 1. ამ დილით ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის შენობის იმ ნაწილში, სადაც სენატია მოთავსებული, მოხდა ძლიერი აფეთქება. როგორც შემთხვევის ადგილზე მოსულმა ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, შენობა „ძალიან დაზიანდა". აფეთქების მიზეზი ჯერჯერობით არ არის დადგენილი.

● ჟენევა. 1. გუშინ ბერნის ალპების განშტოებაში ქალაქ ტუნის მახლობლად მთებში მეთხილამურეთა ჯგუფს თავს დაატყდა ზვავი. დაზარალებულთა დასახმარებლად გაგზავნეს ვერტმფრენი და მეძებარი ძაღლები. ზვავის ქვეშ დაიღუპა ოთხი კაცი — ბერნის ერთ-ერთი სამთო სათხილამურო სკოლის მსმენელები.

● 50 კაცი დაიღუპა და 12 ათასი მცხოვრები უსახლკაროდ დარჩა ბრაზილიის გუანაბარის შტატში წყალდიდობის შედეგად, რომელიც კოკისპირულმა წვიმებმა გამოიწვია. განუწყვეტელმა წვიმებმა დიდი ზარალი მიაყენა აგრეთვე ბრაზილიის სხვა რაიონებს. ქალაქ სან-პაულუში არ მუშაობს სამრეწველო საწარმოთა და დაწესებულებათა ნახევარი. განსაკუთრებით ძლიერი წყალდიდობა მოხდა რიო-დე-ჟანეიროში. ქალაქის უზარმაზარი ჩრდილო ნაწილი, სადაც განლაგებულია საწარმოთა უმრავლესობა და მოსახლეობის უღარიბესი ფენები ცხოვრობენ, წყლით დაფარულია. გზები წალეკილია, ტრანსპორტი არ მუშაობს.

საქდესი-პრენსა ლატინა-რეიტერი.

## ყრილობას მიუძღვნეს

### ლაშქრობა ბათუმი-თბილისი

ასეთი ლაშქრობა პირველია რესპუბლიკის მძლეოსანთა ისტორიაში. იგი ჩვენმა სპორტსმენებმა მიუძღვნეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას.

ლაშქრობაში მონაწილეობდა 11 სპორტული მოსიარულე (ტრასის უფროსი და მწვრთნელი სპორტის ოსტატი ნ. კალანდაძე).

ტრასა 415 კილომეტრი 6 ეტაპისაგან შედგებოდა. სპორტსმენები ყოველდღიურად ხუთ-ხუთნახევარი საათის განმავლობაში 55-65 კილომეტრს გადიოდნენ თოვლში, ყინვასა და წვიმაში.

28 თებერვალს ლაშქრობის მონაწილენი უკვე თბილისში ჩამოვიდნენ.

• • •

სურათზე: ლაშქრობის მონაწილეები თბილისში.

ფოტო ო. გელაშვილისა.







## მეტად საჭირო ქულა

გუშინ სპორტის სასახლეში თბილისის „დინამოსა" და „ბურევესტნიკს" საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ჰქონდათ კალათბურთში.

თუ გადავხედავთ სატურნირო ცხრილს, ფინიშთან გამარჯვება „ბურევესტნიკისათვის" უფრო საჭირო იყო, ვიდრე დინამოელთათვის. ან ერთი ქულა სტუდენტ კალათბურთელებს უმაღლეს ლიგაში დარჩენის გარანტიას აძლევდა. მატჩიც მათი უპირატესობით წარიმართა. მეხუთე წუთისათვის „ბურევესტნიკი" უკვე წინ იყო 20:10. მართალია, დინამოელებმა შეამცირეს ქულათა სხვაობა და ტაიმის ბოლოსათვის იგი მინიმუმამდე დაიყვანეს — 50:51, მაგრამ ეს იყო და ეს. მეორე ნახევარში ისევ „ბურევესტნიკი" დაწინაურდა და გამარჯვებაც მას ხვდა 98:89.

## საკუთარ კარში

სან-სალვადორი, 1 მარტი. (საქდესი). სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა, რომელიც ტურნეს ამთავრებს ლათინურ ამერიკაში, დაამარცხა სალვადორის ოლიმპიური ნაკრები ანგარიშით 1:0 (1:0). ბურთი საკუთარ კარში გაიტანა მასპინძელთა მცველმა ოზირიომ.

სსრ კავშირის ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა — შმუცი, ისტომინი, შესტერნიოვი, კაპლიჩნი, ლოვჩევი, კისელიოვი, დოლგოვი, კოპეიკინი, ნოდია, ეშტრეკოვი, დუდარენკო.

## ასპარეზობათა პანორამა

● ფიგურული ციგურაობა. საფრანგეთის ქალაქ ლიონში ამოიწურა მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში. მედლების უკანასკნელი კომპლექტი განაწილდა ქალთა შორის. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ავსტრიის წარმომადგენელი ბეატრის შუბა.

● ფეხბურთი. მოსკოვის დინამოელები ამთავრებენ ტურნეს ავსტრალიაში. მეოთხე შეხვედრა დინამოელებს ჰქონდათ სიდნეიში ახალ სამხრეთ უელსის გუნდთან და გაიმარჯვეს 5:3. მოსკოველებიდან გოლების ავტორები იყვნენ — უტკინი, მახოვიკოვი, ავრუცკი (2) და ლარინი.

● ჰოკეი. ულან-ბატორში დამთავრდა მეგობრული არმიების თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ჩემპიონატი. ისევე, როგორც წინა ასპარეზობაზე, ამჯერადაც უძლიერესის ტიტული დაიმსახურეს საბჭოთა არმიელმა ბორტსმენებმა.

## ტელევიზია

### 3 მარტი

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — კინოპროგრამა. 11.45 — „მზის... (გადმოცემა მოსკოვიდან). 12.35 — მხატვრული ფილმი „პრესის ჰამბურგელი მეფე", 13.45 — „ქიმიით დას ახმარებლად", 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი, 18.30 — განცხადებები, 18.35 — მოსწავლეთათვის. „ჯაბიდული ფოტომონადირე", 18.50 — „ოლიმპიური რგოლების მიღმა", 19.05 — მოსწავლეთათვის. „მოგზაურობა აფხაზეთში" (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „მულტპანორამა", 20.30 — გადაცემა „ახალგაზრდობის შემოქმედებით სახელოსნოში", 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.25 — „მუსიკის სამყაროში" — სატელევიზიო მიმოხილვა, 22.15 — მხატვრული ფილმი „სად არის 0-42".

### 8 მარტი

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — კინოპროგრამა, 12.05 — მხატვრული ფილმი „სად არის 0-42", 17.00 — სკოლების დასახმარებლად, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — გადაცემა ბავშვებისათვის. 18.45 — „განვიხილავთ დირექტივების პროექტს", 19.05 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 19.30 — საბჭოთა რესპუბლიკის სატელევიზიო ფესტივალი—რსფსრ (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.30 — „საბჭოთა საქართველო-50" — „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!" აფხაზეთის ასსრ.

გაზეთ „კომუნისტის" დღევანდელი ნომერი ექვსგვერდიანია.

## ოფიციალური ცხრილი

# ვ ი ნ რ ა მ ო ი გ ო

მეორე გამოშვება

საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1971 წლის მეორე გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟისა, მოგებათა ტირაჟი გაიმართა 1971 წლის 25 თებერვალს ღ. გარდაბანში. ტირაჟში გათამაშდა 140 ნივთმოგება და 154.860 ფულადი მოგება 279.000 მანეთი თანხისა. მოგება ხვდა ლატარიის სერიებისა და ბილეთების შემდეგ ნომრებს:

| სერიის № | ბილეთის № | მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა | მოგებული ნივთის ფულადი ღირებულება |
|---|---|---|---|
| 40311 | 049 *) | 300 მანეთი | — |
| 40316 | 090 *) | პიანინო | 650 — 00 |
| 40337 | 294 *) | პიანინო | 650 — 00 |
| 40348 | 476 *) | 500 მანეთი | — |
| 40352 | 137 *) | 300 მანეთი | — |
| 40354 | 464 *) | 50 მანეთი | — |
| 40356 | 427 *) | 50 მანეთი | — |
| 40358 | 422 *) | კინოაპარატი | 150 — 00 |
| 40359 | 229 *) | 50 მანეთი | — |
| 40370 | 331 *) | 30 მანეთი | — |
| 40375 | 370 *) | კინოაპარატი | 150 — 00 |
| 40377 | 357 *) | მაცივარი | 250 — 00 |
| 40384 | 371 *) | 1000 მანეთი | — |
| 40386 | 294 *) | 125 მანეთი | — |
| 40395 | 036 *) | ფოტოაპარატი | 23 — 00 |
| 40406 | 022 *) | 25 მანეთი | — |
| 40408 | 237 *) | 200 მანეთი | — |
| 40434 | 116 *) | პიანინო | 650 — 00 |
| 40440 | 373 *) | ფოტოაპარატი | 23 — 00 |
| 40447 | 335 *) | კინოაპარატი | 150 — 00 |
| 40451 | 464 *) | კინოაპარატი | 150 — 00 |
| 40455 | 099 *) | 100 მანეთი | — |
| 40465 | 035 *) | 50 მანეთი | — |
| 40470 | 321 *) | 20 მანეთი | — |
| 40472 | 014 *) | 100 მანეთი | — |
| 40480 | 394 *) | მაგნიტოლა | 158 — 00 |
| 40486 | 170 *) | პიანინო | 650 — 00 |
| 40495 | 113 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 40501 | 347 *) | 25 მანეთი | — |
| 40524 | 027 *) | ფოტოაპარატი | 23 — 00 |
| 40529 | 076 *) | ტელევიზორი | 436 — 00 |
| 40535 | 260 *) | მაცივარი | 250 — 00 |
| 40538 | 235 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 40539 | 403 *) | ტელევიზორი | 436 — 00 |
| 40547 | 385 *) | მაგნიტოლა | 158 — 00 |
| 40566 | 279 *) | კინოაპარატი | 150 — 00 |
| 40571 | 173 *) | 300 მანეთი | — |
| 40579 | 471 *) | 300 მანეთი | — |
| 40587 | 377 *) | 20 მანეთი | — |
| 40595 | 302 *) | მაგნიტოლა | 158 — 00 |
| 40596 | 372 *) | ავტომობილი „ზაპოროჟეცი" | 3500 — 00 |
| 40598 | 056 *) | მაცივარი | 250 — 00 |
| 40612 | 251 *) | მაცივარი | 250 — 00 |
| 40615 | 364 *) | 50 მანეთი | — |
| 40618 | 299 *) | პიანინო | 650 — 00 |
| 40625 | 288 *) | 30 მანეთი | — |
| 40636 | 196 *) | ავტომობილი „მოსკვიჩი" | 4936 — 00 |
| 40640 | 026 *) | საგზური საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ ტურისტულ მატარებლით „საქართველო" | 165 — 00 |
| 40644 | 265 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 40655 | 053 *) | 20 მანეთი | — |
| 40688 | 448 *) | 200 მანეთი | — |
| 40706 | 259 *) | 100 მანეთი | — |
| 40721 | 125 *) | 25 მანეთი | — |
| 40726 | 127 *) | 50 მანეთი | — |
| 40730 | 183 *) | ავტომობილი „ზაპოროჟეცი" | 3500 — 00 |
| 40732 | 163 *) | ავტომობილი „მოსკვიჩი" | 4936 — 00 |
| 40762 | 435 *) | კინოაპარატი | 150 — 00 |
| 40770 | 012 *) | 200 მანეთი | — |
| 40776 | 108 *) | 50 მანეთი | — |
| 40783 | 482 *) | 30 მანეთი | — |
| 40791 | 157 *) | მაგნიტოლა | 158 — 00 |
| 40809 | 495 *) | პიანინო | 650 — 00 |
| 40817 | 075 *) | 50 მანეთი | — |
| 40818 | 448 *) | 30 მანეთი | — |
| 40826 | 439 *) | მაცივარი | 250 — 00 |
| 40827 | 412 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 40853 | 003 *) | მაცივარი | 250 — 00 |
| 40856 | 255 *) | კინოაპარატი | 150 — 00 |
| 40860 | 443 *) | ავტომობილი „ზაპოროჟეცი" | 3500 — 00 |
| 40867 | 066 *) | 100 მანეთი | — |
| 40872 | 407 *) | 30 მანეთი | — |
| 40887 | 075 *) | 100 მანეთი | — |
| 40888 | 217 *) | 300 მანეთი | — |
| 40899 | 039 *) | 100 მანეთი | — |
| 40900 | 368 *) | 50 მანეთი | — |
| 40911 | 448 *) | 20 მანეთი | — |
| 40928 | 408 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 40934 | 468 *) | ავტომობილი „მოსკვიჩი" | 4936 — 00 |
| 40944 | 496 *) | 200 მანეთი | — |
| 40970 | 266 *) | 100 მანეთი | — |
| 40973 | 497 *) | მაცივარი | 250 — 00 |
| 40975 | 207 *) | 20 მანეთი | — |
| 40990 | 402 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 40994 | 203 *) | პიანინო | 650 — 00 |
| 40998 | 068 *) | 100 მანეთი | — |
| 41007 | 029 *) | 100 მანეთი | — |
| 41022 | 1—500 | 15 მანეთი | — |
| 41040 | 310 *) | 50 მანეთი | — |
| 41056 | 417 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 41064 | 447 *) | 1000 მანეთი | — |
| 41070 | 122 *) | 50 მანეთი | — |
| 41086 | 487 *) | 125 მანეთი | — |
| 41097 | 353 *) | 20 მანეთი | — |
| 41128 | 169 *) | ფოტოაპარატი | 23 — 00 |
| 41131 | 166 *) | 50 მანეთი | — |
| 41153 | 359 *) | 100 მანეთი | — |
| 41172 | 280 *) | 50 მანეთი | — |
| 41174 | 308 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 41183 | 007 *) | 25 მანეთი | — |
| 41187 | 476 *) | მაცივარი | 250 — 00 |
| 41204 | 275 *) | 25 მანეთი | — |
| 41211 | 014 *) | 25 მანეთი | — |
| 41214 | 367 *) | 200 მანეთი | — |
| 41227 | 170 *) | პიანინო | 650 — 00 |
| 41242 | 065 *) | 200 მანეთი | — |
| 41255 | 401 *) | 25 მანეთი | — |
| 41263 | 272 *) | მაცივარი | 250 — 00 |
| 41268 | 241 *) | ტელევიზორი | 436 — 00 |
| 41272 | 337 *) | 25 მანეთი | — |
| 41295 | 192 *) | 100 მანეთი | — |
| 41302 | 1—500 | 15 მანეთი | — |
| 41311 | 258 *) | მაცივარი | 250 — 00 |
| 41318 | 192 *) | კინოაპარატი | 150 — 00 |
| 41322 | 242 *) | 100 მანეთი | — |
| 41328 | 395 *) | 30 მანეთი | — |
| 41340 | 087 *) | ტრანზისტორი „ვეფ-201" | 93 — 00 |
| 41372 | 316 *) | პიანინო | 650 — 00 |
| 41396 | 155 *) | 50 მანეთი | — |
| 41407 | 487 *) | ფოტოაპარატი | 23 — 00 |
| 41418 | 030 *) | 100 მანეთი | — |
| 41419 | 357 *) | 125 მანეთი | — |
| 41430 | 325 *) | მაცივარი | 250 — 00 |
| 41437 | 192 *) | 30 მანეთი | — |
| 41458 | 454 *) | 100 მანეთი | — |
| 41473 | 344 *) | 50 მანეთი | — |
| 41476 | 246 *) | 100 მანეთი | — |
| 41478 | 498 *) | მაცივარი | 250 — 00 |
| 41482 | 150 *) | 500 მანეთი | — |
| 41485 | 102 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 41491 | 495 *) | პიანინო | 650 — 00 |
| 41526 | 410 *) | პიანინო | 650 — 00 |
| 41544 | 242 *) | 100 მანეთი | — |
| 41557 | 198 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 41569 | 242 *) | მაცივარი | 250 — 00 |
| 41571 | 323 *) | 200 მანეთი | — |
| 41602 | 410 *) | 30 მანეთი | — |
| 41603 | 176 *) | 500 მანეთი | — |
| 41604 | 416 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 41612 | 395 *) | მაცივარი | 250 — 00 |
| 41619 | 439 *) | მაცივარი | 250 — 00 |
| 41624 | 413 *) | 100 მანეთი | — |
| 41627 | 024 *) | პიანინო | 650 — 00 |
| 41637 | 095 *) | ტრანზისტორი „ვეფ-201" | 93 — 00 |
| 41664 | 397 *) | 200 მანეთი | — |
| 41670 | 335 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 41672 | 474 *) | 200 მანეთი | — |
| 41700 | 332 *) | ტრანზისტორი „ვეფ-201" | 93 — 00 |
| 41704 | 221 *) | 50 მანეთი | — |
| 41711 | 258 *) | 50 მანეთი | — |
| 41716 | 091 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 41719 | 065 *) | 200 მანეთი | — |
| 41733 | 392 *) | 30 მანეთი | — |
| 41740 | 417 *) | ტრანზისტორი „ვეფ-201" | 93 — 00 |
| 41742 | 207 *) | ფოტოაპარატი | 23 — 00 |
| 41746 | 241 *) | საგზური საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ ტურისტულ მატარებლით „საქართველო" | 165 — 00 |
| 41752 | 031 *) | 100 მანეთი | — |
| 41754 | 306 *) | 200 მანეთი | — |
| 41760 | 205 *) | 50 მანეთი | — |
| 41765 | 074 *) | პიანინო | 650 — 00 |
| 41768 | 361 *) | ავტომობილი „მოსკვიჩი" | 4936 — 00 |
| 41777 | 102 *) | 125 მანეთი | — |
| 41797 | 364 *) | 50 მანეთი | — |
| 41825 | 039 *) | მაცივარი | 250 — 00 |
| 41842 | 043 *) | 25 მანეთი | — |
| 41860 | 084 *) | 125 მანეთი | — |
| 41867 | 446 *) | 100 მანეთი | — |
| 41897 | 189 *) | კინოაპარატი | 150 — 00 |
| 41898 | 171 *) | 30 მანეთი | — |
| 41899 | 248 *) | 30 მანეთი | — |
| 41904 | 275 *) | 50 მანეთი | — |
| 41908 | 332 *) | 30 მანეთი | — |
| 41911 | 233 *) | 25 მანეთი | — |
| 41916 | 302 *) | 125 მანეთი | — |
| 41927 | 128 *) | მაგნიტოლა | 158 — 00 |
| 41957 | 496 *) | 100 მანეთი | — |
| 41962 | 415 *) | ტრანზისტორი „ვეფ-201" | 93 — 00 |
| 41971 | 056 *) | 25 მანეთი | — |
| 41984 | 029 *) | მაცივარი | 250 — 00 |
| 41990 | 122 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 42007 | 233 *) | 30 მანეთი | — |
| 42009 | 391 *) | 30 მანეთი | — |
| 42018 | 170 *) | კინოაპარატი | 150 — 00 |
| 42022 | 067 *) | ტრანზისტორი ვეფ-201 | 93 — 00 |
| 42031 | 009 *) | 100 მანეთი | — |
| 42041 | 100 *) | 50 მანეთი | — |
| 42047 | 132 *) | 50 მანეთი | — |
| 42053 | 170 *) | 25 მანეთი | — |
| 42074 | 140 *) | 50 მანეთი | — |
| 42078 | 023 *) | 50 მანეთი | — |
| 42099 | 059 *) | 100 მანეთი | — |
| 42111 | 105 *) | კინოაპარატი | 150 — 00 |
| 42115 | 320 *) | ავტომობილი „ზაპოროჟეცი" | 3500 — 00 |
| 42143 | 058 *) | პიანინო | 650 — 00 |
| 42144 | 209 *) | 300 მანეთი | — |
| 42147 | 410 *) | 50 მანეთი | — |
| 42151 | 014 *) | 125 მანეთი | — |
| 42152 | 259 *) | 30 მანეთი | — |
| 42155 | 231 *) | 500 მანეთი | — |
| 42159 | 363 *) | 100 მანეთი | — |
| 42170 | 414 *) | მაცივარი | 250 — 00 |
| 42174 | 395 *) | 20 მანეთი | — |
| 42177 | 188 *) | ტრანზისტორი ვეფ-201 | 93 — 00 |
| 42180 | 417 *) | 100 მანეთი | — |
| 42191 | 385 *) | 25 მანეთი | — |
| 42197 | 445 *) | 25 მანეთი | — |
| 42208 | 459 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 42210 | 273 *) | მაცივარი | 250 — 00 |
| 42221 | 022 *) | 50 მანეთი | — |
| 42224 | 404 *) | 30 მანეთი | — |
| 42246 | 332 *) | 200 მანეთი | — |
| 42255 | 469 *) | 50 მანეთი | — |
| 42264 | 117 *) | 100 მანეთი | — |
| 42268 | 136 *) | მაცივარი | 250 — 00 |
| 42308 | 291 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 42362 | 367 *) | ფოტოაპარატი | 23 — 00 |
| 42371 | 370 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 42388 | 122 *) | 1000 მანეთი | — |
| 42409 | 215 *) | 50 მანეთი | — |
| 42410 | 445 *) | ფოტოაპარატი | 23 — 00 |
| 42435 | 486 *) | 20 მანეთი | — |
| 42437 | 471 *) | ავტომობილი „ზაპოროჟეცი" | 3500 — 00 |
| 42444 | 278 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 42463 | 1—500 | 10 მანეთი | — |
| 42478 | 282 *) | პიანინო | 650 — 00 |
| 42491 | 237 *) | 50 მანეთი | — |
| 42494 | 099 *) | 30 მანეთი | — |
| 42499 | 272 *) | 200 მანეთი | — |
| 42517 | 480 *) | ავტომობილი „მოსკვიჩი" | 4936 — 00 |
| 42524 | 410 *) | საგზური საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ ტურისტულ მატარებელ „საქართველოთი" | 165 — 00 |
| 42538 | 162 *) | 125 მანეთი | — |
| 42574 | 477 *) | 200 მანეთი | — |
| 42578 | 154 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 42585 | 001 *) | 25 მანეთი | — |
| 42592 | 122 *) | მაცივარი | 250 — 00 |
| 42602 | 340 *) | 25 მანეთი | — |
| 42624 | 268 *) | 30 მანეთი | — |
| 42652 | 400 *) | 100 მანეთი | — |
| 42653 | 012 *) | 25 მანეთი | — |
| 42672 | 033 *) | 30 მანეთი | — |
| 42675 | 476 *) | ფოტოაპარატი | 23 — 00 |
| 42683 | 043 *) | მაცივარი | 250 — 00 |
| 42690 | 070 *) | მაცივარი | 250 — 00 |
| 42703 | 100 *) | მაცივარი | 250 — 00 |
| 42712 | 325 *) | 30 მანეთი | — |
| 42728 | 239 *) | მაცივარი | 250 — 00 |
| 42733 | 218 *) | მაცივარი | 250 — 00 |
| 42743 | 103 *) | 50 მანეთი | — |
| 42757 | 095 *) | 50 მანეთი | — |
| 42763 | 325 *) | 20 მანეთი | — |
| 42770 | 242 *) | 200 მანეთი | — |
| 42779 | 025 *) | ტელევიზორი | 436 — 00 |
| 42819 | 301 *) | 25 მანეთი | — |
| 42820 | 159 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 42891 | 224 *) | ტელევიზორი | 436 — 00 |
| 42906 | 330 *) | 25 მანეთი | — |
| 42910 | 329 *) | 50 მანეთი | — |
| 42916 | 065 *) | 50 მანეთი | — |
| 42920 | 294 *) | 25 მანეთი | — |
| 42921 | 181 *) | 500 მანეთი | — |
| 42922 | 224 *) | ტრანზისტორი ვეფ-201 | 93 — 00 |
| 42935 | 352 *) | 50 მანეთი | — |
| 42943 | 416 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 42961 | 454 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 42984 | 368 *) | 20 მანეთი | — |
| 42993 | 214 *) | 50 მანეთი | — |
| 43001 | 446 *) | ფოტოაპარატი | 23 — 00 |
| 43011 | 360 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 43024 | 288 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 43025 | 212 *) | 100 მანეთი | — |
| 43047 | 369 *) | 25 მანეთი | — |
| 43065 | 406 *) | 25 მანეთი | — |
| 43077 | 144*) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 43085 | 172 *) | ტრანზისტორი ვეფ-201 | 93 — 00 |
| 43086 | 391 *) | ფოტოაპარატი | 23 — 00 |
| 43116 | 316 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 43122 | 322 *) | 50 მანეთი | — |
| 43143 | 041 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 43146 | 257 *) | 20 მანეთი | — |
| 43164 | 174 *) | ავტომობილი „მოსკვიჩი" | 4936 — 00 |
| 43173 | 385 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 43177 | 179 *) | კინოაპარატი | 150 — 00 |
| 43179 | 463 *) | 25 მანეთი | — |
| 43186 | 339 *) | 25 მანეთი | — |
| 43197 | 309 *) | მაცივარი | 250 — 00 |
| 43218 | 238 *) | 300 მანეთი | — |
| 43236 | 136 *) | საგზური საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ ტურისტულ მატარებელ „საქართველოთი" | 165 — 00 |
| 43238 | 294 *) | 30 მანეთი | — |
| 43243 | 349 *) | 30 მანეთი | — |
| 43261 | 305 *) | ავტომანქანა „მოსკვიჩი" | 4936 — 00 |
| 43264 | 430 *) | კინოაპარატი | 150 — 00 |
| 43284 | 076 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 43298 | 069 *) | საგზური საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ ტურისტულ მატარებელ „საქართველოთი" | 165 — 00 |
| 43312 | 436 *) | 50 მანეთი | — |
| 43313 | 060 *) | 100 მანეთი | — |
| 43314 | 072 *) | ავტომანქანა „მოსკვიჩი" | 4936 — 00 |
| 43315 | 310 * | მაცივარი | 250 — 00 |
| 43328 | 081 *) | 100 მანეთი | — |
| 43338 | 379 *) | მაცივარი | 250 — 00 |
| 43345 | 1 — 500 | 10 მანეთი | — |
| 43346 | 391 *) | 25 მანეთი | — |
| 43348 | 452 *) | 30 მანეთი | — |
| 43349 | 455 *) | კინოაპარატი | 150 — 00 |
| 43353 | 017 *) | 50 მანეთი | — |
| 43356 | 368 *) | ტრანზისტორი „ვეფ-201" | 93 — 00 |
| 43361 | 441 *) | მაცივარი | 250 — 00 |
| 43363 | 453 *) | პიანინო | 650 — 00 |
| 43372 | 476 *) | 50 მანეთი | — |
| 43392 | 125 *) | პიანინო | 650 — 00 |
| 43395 | 479 *) | ელექტროსამართებელი | 22 — 50 |
| 43400 | 168 *) | 30 მანეთი | — |

შენიშვნა*) ლატარიის ამ სერიის ბილეთების დანარჩენ 499 ნომერს ხვდა 1 მანეთი მოგება თვითეულს.

თუ სვეტში „ბილეთის ნომერი" აღნიშნულია 1-500, ეს იმას ნიშნავს, რომ ერთნაირი მოგება ხვდა ლატარიის მოცემული სერიის ბილეთების ხუთასსავე ნომერს.

ეს ცხრილი წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს, რომლის მიხედვით წარმოებს ნივთმოგებათა და ფულად მოგებათა გაცემა გაზეთის შემდეგი ნომრის ადგილზე მიღების შემდეგ.

## მოგებათა მიღების წესი:

1. ლატარიის იმ ბილეთის მფლობელს, რომელსაც ნივთმოგება ხვდა, თავისი სურვილისამებრ შეუძლია მოგებული ნივთის ღირებულება ნაღდ ფულად მიიღოს.

ლატარიის ბილეთების ფულად მოგებათა გაცემას, ხოლო მიმღებთა სურვილისამებრ 50 მანეთამდე (ჩათვლით) ღირებულების მოგებული ნივთის ნაცვლად აგრეთვე ფულის გაცემას აწარმოებს საქართველოს ყველა შემნახველი სალარო. 50 მანეთის ზევით მოგებათა თანხებს გასცემენ ცენტრალური შემნახველი სალაროები და პირველი თანრიგის შემნახველი სალაროები.

2. მოგებულ ნივთებს ლატარიის ბილეთების მფლობელთ აძლევენ ან უგზავნიან მხოლოდ ქ. თბილისის მაღაზიები.

მოგებაზვედრილი ლატარიის ბილეთების ყველა მარკის ავტომანქანების გაცემა წარმოებს მხოლოდ ქ. თბილისში. მოგებული ნივთების მისაღებად ლატარიის ბილეთები უნდა წარედგინოს შემნახველ სალაროებს.

ლატარიის ბილეთები იმ მოგებებით, რომლებიც ქ. თბილისის მაღაზიების მეშვეობით უნდა გაიგზავნოს, წარედგინება ცენტრალურ შემნახველ სალაროებს ან პირველი თანრიგის შემნახველ სალაროებს. ამასთან ლატარიის ბილეთის მფლობელი აცნობებს გვარს, სახელს, მამის სახელსა და თავისი ბინის ზუსტ მისამართს. ბილეთებზე ნაჩვენები უნდა იყოს აგრეთვე რკინიგზის იმ უახლოესი დიდგაბარიტიან საგნებზე ნაჩვენები უნდა იყოს აგრეთვე რკინიგზის იმ უახლოესი სადგურის სახელწოდება, რომელიც სატვირთო სიჩქარის ოპერაციებს აწარმოებს.

მაცივრების მისაღებად საჭიროა, გარდა ამისა, ნაჩვენები იყოს ლატარიის ბილეთის მფლობელის საცხოვრებელ ადგილზე ელექტროქსელის ძაბვა, ე. ი. 127 ვოლტი თუ 220 ვოლტი.

3. მოგებული ნივთების გაცემას მაღაზიები აწარმოებენ მას შემდეგ, რაც ლატარიის ბილეთები, რომლებსაც მოგება ხვდა, შემოწმდება შემნახველ სალაროში.

4. ლატარიის ბილეთები, რომლებსაც მოგება ხვდა, შეიძლება წარდგენილ იქნას გასანაღდებლად ან მოგებული ნივთის მისაღებად 1972 წლის 30 ივნისამდე ჩათვლით. ამ ვადის გასვლის შემდეგ ლატარიის ბილეთები ძალას კარგავენ და გასანაღდებლად აღარ მიიღებიან.

შენიშვნა: სხვა მოკავშირე რესპუბლიკაში ჩატარებული ფულისა და ნივთების ლატარიების ბილეთების მფლობელთ შეუძლიათ თავიანთი ბილეთები შეამოწმონ მოგებათა ცხრილებით და მიიღონ ფულადი მოგება ან ფული მოგებული ნივთის ნაცვლად ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის, აგრეთვე ქალაქების სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, წყალტუბოსა და გაგრის ცენტრალურ შემნახველ სალაროებში.

აღნიშნული ცენტრალური შემნახველი სალაროები აგრეთვე მიიღებენ ლატარიის ბილეთებს, რომლებსაც მოგება ხვდა, მოგებული ნივთის გამოსათხოვად.

ლატარიის ბილეთების შემოწმება შეიძლება აგრეთვე ქ. თბილისის ყველა ცენტრალურ შემნახველ სალაროში და სხვა დიდი ქალაქების ცენტრალურ შემნახველ სალაროებში.

**კომისიის თავმჯდომარე**
გარდაბნის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დ. დათუაშვილი.

**თავმჯდომარის მოადგილე**
საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი ნ. ვახანია.

**კომისიის პასუხისმგებელი მდივანი**
საქართველოს სსრ სახშრომშემნახალაროების და სახკრედიტის ოპერატიული განყოფილების უფროსი ა. შტეინბერგი.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

თბილისი ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99 93-08, 99 08 09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99 66 10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22 98, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99 52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, სატირისა და ფელეტონის — 99-60-21. უცხოეთის — 93-95 97. წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 08472

საქ. კ.პ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.